№ 2768
შაბათი,
12 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2768
შაბათი,
12 მარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივ სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ნაშუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება [illegible] თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

თომა გრიგორის ძე გრიგორიევი, ელისაბედ გრიგორის ასული მალიევისა შვილებითურთ და დარია ზურაბის ასული ფლორინსკისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი—ძვირფას და დაუვიწყარ დედის, უკანასკნელი—დეიდის

ელენე მოსეს ასულის გრიგორიევისას.

პანაშვიდები ყოველ დღე 12 და 7 საათზე. ცხედრის გამოსვენება 13 მარტს დილის 10 საათზე განსვენებულის ბინიდან: მამადავითის მოედანი № 3, მამადავითის ეკკლესიაში. დაკრძალვა ეკკლესიის გალავანში. (3—2)

ოლღა იოსების ასული დავითაშვილისა შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 13 ამ მარტს, ტფილისის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ბაქოს რკინის გზის ეკკლესიის მღვდლის

სერგი დავითაშვილის

ნახევარი წლის გარდაცვალების დღეს. დასაწყისი წირვისა 10 საათზე, პანაშვიდისა—12 საათზე. (1—98—1)

მელანია მალხაზის ასული ზურმუხტოვისა შვილებითურთ და რძლებით უდიდეს მადლობას ვუძღვნით იმათ, ვინ გამოგვიცხადეს პირადათ ან წერილით თანაგრძნობა და ნუგეში განსვენებულ ძვირფას

იოსებ ხვთისავარის ძის ზურმუხტოვის

გარდაცვალების გამო. (1—97—1)

გასტროლი ქუთაისის ქართულ დასისა

საარტისტო საზოგადოების თეატრში კვირას, 13 მარტს, 1905 წ. ქუთაისის ქართულ-დრამატიულ დასის მიერ ვლ. ხ. ალექსი-მესხიშვილის გამგეობითა და მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა:

ქაი გრაქხ

ისტ. დრამა 5 მოქ. მონტისა, თარ. ი. მაჭავარიანისა.

სამშაბათს, 15 მარტს, 1905 წელს.

ქუთაისის ქართულ-დრამატიულ დასის მიერ ვლ. ალექსი-მესხიშვილის გამგეობითა და მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

როზა ბერნდ.

დრამა 5 მოქ. გ. ჰაუპტმანისა, თარგმანი ვლ. ხ. ალექსი-მესხიშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი დავითაშვილი, როინელი, ივანიძე, მდივანი, გამყრელიძე, ურბნელი; ბ-ნნი: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, გამყრელიძე, აწყურელი, ბაქრაძე, გვარაძე, ხარდალიშვილი, გრ. ჩარკვიანი, მურუსიძე და სხვა.

ადგილების ფასი საბენეფისოა. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში. (2—1) რეჟისორი ვლ. ხ. ალექსი-მესხიშვილი.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

სპეციალისტები იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჩიჩინაძე. კბილის 8—9 საათ.
ზ. ბ. [illegible]. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ი. ყოლბინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
მ. დ. დამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ვ. ნ. მაჭავარიანი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
გ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ქალი ე. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საშვილოსნო. სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ქ. ნ. [illegible].—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ზაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ერთის 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 B.

ტელეფონი № 274.

ექიმი

ი. ა. გოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. [illegible] სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ქ. ბათუმში

ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის. ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციის ბანკის სახლი. (60—408—33)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახ. [illegible] ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—34)

კბილის ექიმი

ე. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით (30—17—18)

ექიმი

ვ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 9—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—52).

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის

წლიური კრება

დანიშნულია კვირისათვის, 13 მარტს, დილის 10 საათზე, საამხანაგო ქარხანაში (ელისაბედის ქუჩა სახლი № 25).

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება 1904 წლის ანგარიშისა, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიის წევრთა, 3) მოხსენება გამგეობისა ამხანაგობის საქმეთა გაუმჯობესების შესახებ, 4) არჩევანი გამგეობის თავმჯდომარის და წევრთა, 5) სარევიზიო კომისიის და წევრთა, 6) არჩევანი დამფასებელ კომისიის წევრთა და 7) ახალ წევრთა. 2—6—2

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 82) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

ბავშვების ექიმი

ა. ი. ბალარჯიშვილი

კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ. მიხეილის პრ. № 115. ნემეცების ეკკლესიის გვერდით, ტელეფ. 729. (30—91—5)

ოფიციალური ცნობა

უმაღლესი ბრძანება

უმართებულესს სენატს

საჭიროდ ვცანით აღვაჭურვოთ სრული უფლებებით კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობა იმ ადგილებში, რომელიც კავკასიის მთავარ-მართებელს ემორჩილებოდა, და ამიტომ ვბრძანებთ:

1. ჩვენ ნამესტნიკს კავკასიისას მიენიჭოს უმაღლესი უფლება კავკასიის ყველა ნაწილის მართვა-გამგეობაში.

2. თავის თანამდებობით ნამესტნიკი იქნება სახელმწიფო საბჭოს წევრად, მინისტრთა საბჭოს და კომიტეტის წევრად და იმ ჯარის უფროსად, რომელიც კავკასიაშია.

3. ნამესტნიკის დასახმარებლად კავკასიის მართვა-გამგეობის საქმეში დაწესდეს თანამდებობანი ნამესტნიკის თანაშემწეთა სამხედრო და სამოქალაქო ნაწილებში; ორივე თანაშემწენი პირდაპირ ნამესტნიკს დაემორჩილებიან.

4. ნამესტნიკის სხვაგან ყოფნის დროს იმის თანამდებობას შეასრულებს ის თანაშემწე, რომელიც სამხედრო ნაწილს განაგებს.

5. ჩვენ მიერ აღნიშნულ საფუძვლით დაწვრილებით გამოსარკვევად ვავალებთ ნამესტნიკს შეადგინოს დებულება სანამესტნიკოს მართვა-გამგეობის შესახებ.

6. ამ დებულების გამოცემამდე (მუხ. მე-5): ა) ნამესტნიკის ხელქვეითი საქმეები, იმის უფლებანი და მოვალეობანი იმ დაწესებულებათა მიმართ, რომელნიც დღეს მთავარ-მართებელს ექვემდებარებიან, განისაზღვროს კავკასიისა და ამიერ-კავკასიის საქმეთა მართვა-გამგეობის დებულების მე-9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18 და 19 მუხლების თანახმად (კანონთა კრებული ტ. მე-II, გამოც. 1876 წ.), ამასთან ნამესტნიკს მიენიჭოს ყველა ის უფლება, რომელიც ჰქონდა მთავარ-მართებელს, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯართა უფროსს და ყაზახთა ჯარის ნაკაზნოი ატამანს; ბ) უფლებანი ნამესტნიკის თანაშემწისა სამხედრო საქმეებში განისაზღვროს იმ უფლებათა მიხედვით, რომელიც კავკასიის ჯართა უფროს თანაშემწესა ჰქონდა; გ) ნამესტნიკის თანაშემწეს სამოქალაქო საქმეებში მიენიჭოს ის უფლება-მოვალეობანი, რომელიც მთავარ-მართებლის თანაშემწესა ჰქონდა; დ) მთავრობის დაწესებულებებმა და თანამდებობის კაცებმა, როგორც კავკასიის მთავარ სამმართველოსი, ისე ადგილობრივ დაწესებულებებისა, უნდა იმოქმედონ აწ არსებულ საფუძველზე, რომელიც ჩამოთვლილია კავკასიის მთავარ-გამგეობის დებულებაში (კან. კრ. ტ. II, გამოც. 1892 წ.)

7. გაუქმებულ იქნას თანამდებობანი კავკასიის მთავარ-მართებლისა და ჯართა უფროსის, აგრეთვე იმის თანაშემწეებისა.

ნამდვილზე იმის იმპერატორებითის საკუთარის ხელით აწერია: „ნიკოლოზ“

* * *

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

10 მარტი.

პეტერბურგი. ინფანტერიის გენერალ ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა 1905 წ. 9 მარტის თარიღით: 9 მარტი. არ მოსულია მოხსენება მტერთან შეტაკების შესახებ.

ტოკიო, 8 მარტი. მუკდენთან მომხდარ ბრძოლის საქმე უფრო და უფრო დაწვრილებით ირკვევა. მოჯიდან მოსული ოფიცერი ამბობს, რომ იაპონიის ერთ-ერთ რაზმთაგანმა იერიში მიიტანა შიუტანპანზე და 23 თებერვალს პოზიცია დაიჭირა. იაპონელები ახლოს იდგნენ რუსებთან. როცა იაპონელებმა მუკდენის დასავლეთი კარები დაინახეს, სიხარულის ხმები გაისმა რაზმებში. იაპონელთა გენერლების გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ მათ უნდოდათ შეჯგუფულათ დაშვებულიყვნენ მაღლობებიდან, შემოევლოთ რუსის ფრთისთვის და კარებში შესულიყვნენ; მაგრამ, მზვერავების მოხსენების შემდეგ, გეგმა გამოცვლილ იქმნა. რუსებმა გაშალეს ფრონტი რკალივით სამი ათას მეტრის მანძილზე და მდინარის ორსავე ნაპირას ამოთხარეს აუარებელი ორმო მსროლელთათვის. ამ ორმოებიდან პირველი რიგი გააკეთეს; მეორე რიგს მავთულების ლობე შეადგენდა, მესამეს—თხრილები, მეოთხეს—კედლები, თხრილებით გარშემოვლებული, უკან კი 26 სანტიმეტრიანი ზარბაზნები გაამწკრივეს. ქვეითა ჯარს თავის დღეში არ ჰქონია საქმე ასეთ მრისხანე საველე სიმაგრეებთან. 24 თებერვალს, საღამოს 6 საათზე იაპონიის არმია ბრძოლის რიგზე გამწკრივდა და ორ-ფრთათ დაიყო. ჯარები წინ მიდიოდნენ იერიშით ვაკეში, სამის მილის მანძილზე, არავითარი საფარი არ ჰქონდათ და დიდი ზარალი მოსდიოდათ თოფისაგან. დიდ-ხანს არც ერთი მხარე არ იხევდა უკან. მოპირდაპირეთ შორის მანძილი დაფარული იყო მოკლულების გვამებით. ამავე დროს იაპონელებმა იერიში მიიტანეს მუკდენის სამხრეთ და აღმოსავლეთ კარებზე. დასავლეთ კარებთან ბრძოლამ რამდენიმე საათი გასტანა და შედეგი კი არ ჩანდა. იაპონელები წინ მიიწევდნენ და ქვეითი რაზმები მიწაზე ეცემოდნენ მოკლულნი. იაპონელები მიუახლოვდნენ რუსებს 2000 მეტრის მანძილზე. გამწვავებულმა ბრძოლამ კიდევ რამდენიმე საათი გასტანა. დაბოლოს რუსებმა ღამის 12 საათზე უკან დაიხიეს. იაპონელები დასავლეთ კარებიდან შევიდნენ მუკდენში. 25 თებერვალს დილის 6 საათზე იაპონელებმა დროშები აფრიალეს მუკდენის ქუჩებში. იაპონელებმა არ მოასვენეს რუსები, რომელთაც ჩრდილოეთისკენ მოახერხეს გაქცევა. რუსებს აუარებელი ზარალი მოუვიდათ. სამხრეთ კარებთან დაატყვევეს 26 კაცი, დასავლეთ კარებთან კი 5000.

მარსელი. მარსელში მოვიდა გერმანიის გემი „დაფნე“, რომელიც იაპონელებს ჰყოლიათ დაქირავებული კორეაში სურსათის მისატანად. ეხლა ხან გემმა იაპონიის სამხედრო მისია მოიყვანა ფორმოზაზე; ამ მისიას მინდობილი აქვს, გაამაგროს კუნძული, რადგანაც ბალტიის ესკადრას ელიან. „დაფნე“ ჰამბურგში მიდის და შემდეგ კობეში დაბრუნდება.

11 მარტი

ტოკიო. ზავის ჩამოგდების შესახებ ორ დასათ დაიყვნენ იაპონელები: ერთ დასს ხელმძღვანელობს ოკუმა; ეს დასი თხოულობს, ისეთ პირობებით ჩამოაგდეთ ზავი, რომელთაც შეეძლოთ აგვაშოროს ომის განახლებაო. რადგანაც ეხლა ხელსაყრელ სტრატეგიულ მდგომარეობაშია იაპონია, მან ყველა იმ მიზნებს უნდა მიაღწიოს, რა მიზნებითაც გამოწვეული იყო ომი; იაპონიამ შემდეგი მოთხოვნები უნდა წარუდგინოს: ა) ნება მიეცეს იაპონიას დაიჭიროს პორტ-არტური და ლიაოდუნის ნახევარკუნძული, დაიჭიროს აგრეთვე დალნი; ბ) იაპონიას მიენდოს პროტექტორატი კორეაში; წაერთვას რუსეთს ყოველივე უფლებანი მანჯურიაში, წაერთვას აგრეთვე უფლება ჩინეთის რკინის გზაზე; დ) იაპონიას უნდა დაეთმოს სახალინი; თუ დათმობა არ შეიძლება, იარაღი მაინც აეყაროს ვლადივოსტოკს; ვ) აეკრძალოს რუსეთს ფლოტის ყოლა შორეულ აღმოსავლეთში და ვ) რუსეთმა გადაიხადოს საკმაო კონტრიბუცია. იაპონიის რაზმი ჩანტიფუში შევიდა; ჩანტიფუ 20 მილის მანძილზეა კაიუანიდან ჩრდილოეთით.

ლონდონი, 10 მარტი. შუადღეზე საგანგებო სხდომა ჰქონდათ მინისტრებს. „ცენტ. ნიუს.“ სააგენტოს გაუგია, რომ მინისტრებს ბჭობა აქვთ იმ წინადადების შესახებ, რომელიც ეხება სახელმწიფოების ჩარევას რუსეთ-იაპონიის საქმეებში ომის შესაწყვეტად. არ იციან, რომელს სახელმწიფოს ეკუთვნის ინიციატივა.

ხარბინი 10 მარტი. ხარბინიდან ქალები მიდიან.—7 მარტს კუროპატკინი სამხრეთით წავიდა.

ბლაგოვეშჩენსკი. უკანასკნელ ხნებში ხმა გავრცელდა ქალაქში, ამურის ჩინეთის მხარეს ხუნხუზების ბრბო გამოჩნდაო. დღეს სამხედრო გუბერნატორმა მცხოვრებლების დასამშვიდებლად, თუ ვინიცობაა ხუნხუზები გამოჩნდნენ, ბძანება გამოსცა, დაარსებულ იქნას ქალაქისა, სოფლებისა და სტანიცების მცხოვრებლებიდან ადგილობრივი დრუჟინა.

ახალბადი, 10 მარტი. მეშხედში სამინელი აღელვებაა რუსეთის ქვეშევრდომთა წინააღმდეგ. მიზეზი არ იციან. კონსულს და ადმინისტრაციის ცდამ ბრბოს დასამშვიდებლად ფუჭათ ჩაიარა ჯერ არავინ არ მოუკლავთ.

სოფია. სარაფოვმა განაცხადა, რომ მაკედონიამ გადასწყვიტა არ დაემორჩილოს პორტას 1906 წლამდე. თუ მანამდე რეფორმები არ მოხდება, მაშინ დიდი მოძრაობა დაიწყებაო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

10 მარტი

სიპინგაი, 9 მარტი. რუსულ ფულის კურსი, რომელიც მაღლა იდგა მანჯურიაში, სრულებით არ შერყეულა ლიაოიანისა, მუკდენისა და ტელინის დაცემის შემდეგ თუმცა წლის დასაწყისს იყო ცოტა რყევა, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ რუსეთის ვერცხლი ძლიერ ცოტა იყო. როგორც კი გამოუშვა ხაზინამ და რუსეთ-ჩინეთის ბანკმა შედარებით ცოტა ვერცხლის ფული, რუბლმა მანეთმა წინანდებურათ იწია ფასში.

ტოკიო. რუსეთის კავალერიის ნაწილი დგას ჩანტუდან სამი კილომეტრის მანძილზე ჩრდილოეთით. დიდძალი რუსის ჯარი იხევს უკან ჩრდილო აღმოსავლეთით რკინის გზის გასწვრივ.

ლონდონი, 9 მარტი. („რეიტერი“) დეპუტატთა პალატაში ლიბერალმა ენსვერტმა შეიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ჰკიცხავს ჩემბერლენის შემუშავებულ ათ პროცენტიან ბაჟის პროექტს. ეს ბაჟი, ჩემბერლენის წინადადებით, სამზღვარ-გარეთიდან შემოტანილ მანუფაქტურას უნდა დაედოს. ბალფურმა განაცხადა, რომ მთავრობა ჯერ არ განიხილავს რეზოლიუციასაო. ენსვერტის რეზოლიუცია მიღებულ იქნა 254 ხმით ორის წინააღმდეგ. სამინისტრო დასს ხმა არ მიუცია. კონსერვატორებმა დასტური განაცხადეს. თვითონ ჩემბერლენი ავათმყოფობის გამო არ დასწრებია.

პეტერბურგი. 10 მარტი. ბეჭდვითი სიტყვის კომისიამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა გაუქმებულ იქნას წინასწარი ცენზურა ყველა წიგნებისათვის, როგორი სიდიდისაც უნდა იყვეს იგი, და დაწესდეს 7 დღის ვადა წიგნების საცენზურო დაწესებულებაში დარჩენისა.

კუკაბაშენი. იმპერატორი ვილჰელმი ხმელთა შუა ზღვით გაემგზავრა.

* * *

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსის ჯარის უკან დახევა. რუსის ჯარი დღემდე უკან იხევს, იაპონელები თან მოსდევენ. 8 მარტს იაპონელებს ჩანტუფუ აუღიათ, რკინის გზის ახლო, კაიუანიდან 20 ვერსტზე, ჩრდილოეთით.

„მატენ“-ის კორესპონდენტი იუწყება: ხუნხუზები ხშირად ანგრევენ რკინის გზას. იმ მატარებელს, რომლითაც მე მივდიოდი, ხუნხუზები დაეცნენ და ერთი ოფიცერი და ორი სალდათი მოჰკლესო. („ნ. დ.“).

რუსის ჯარის უკან დახევა და კვება მით უფრო გაჭირდება, რომ ხარბინ-მუკდენის რკინის გზის ვაგონები და ლოკომოტივები მომეტებულ ნაწილად იაპონელებმა ჩაიგდეს ხელში. („ო. ნ.“).

„რუს“-ის კორესპონდენტი 3 მარტს დეპეშით იუწყებოდა კაიუანიდან: ჩვენი უკანა ჯარი განუწყვეტლივ ებრძვის იაპონელთა წინა ჯარს. ცნობა მიიღეს, რომ რკინის გზის დასავლეთით, საკმაოდ შორ მანძილზე რკინის გზიდან, იაპონიის ქვეითა ჯარის რამდენიმე რაზმი ჩრდილოეთისაკენ მიდის იმ განზრახვით, რომ რუსის ჯარს გზა მოუჭრასო. გუშინ ტელინიდან 1700 კაცი გაისტუმრეს უკანასკნელ ბრძოლაში დაჭრილი. მგონია, იაპონელები დიდხანს განაგრძობენ ჩრდილოეთისაკენ გალაშქრებას, იქნება სულაც არ დაგვანებონ თავიო.

ვლადივოსტოკი. პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ „სტანდარდ“-ს, 40 ათასი იაპონელი არტილერიით ვლადივოსტოკს ახლო გადავიდა ხმელეთზეო. („ს.“).

„ტაიმს“-ის კორესპონდენტიც იუწყება: იაპონიის საკმაოდ მრავალი ქვეითა ჯარი და არტილერია ვლადივოსტოკს უახლოვდებაო. ჰფიქრობენ, იაპონელები მალე ალყას შემოარტყამენ ამ ქალაქსაო. („ნ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ს დეპეშით ატყობინებენ: რუსეთის უმაღლესი სამხედრო წრეები ჰფიქრობენ, იაპონელებმა ზღვიდანა და ხმელეთიდან რომ ალყა შემოარტყან ვლადივოსტოკს, შეიძლება ორ თვეზე აიღონ ციხეო. („ო. ნ.“).

რუსეთის ახალი სამხედრო სესხი. „ეკო დე პარი“ იუწყება: პეტერბურგიდან რუსეთის ახალ სამხედრო სესხზე მოსალაპარაკებლად პარიზში მოსულნი გოტინგერი, ვონზონი და ნეტცლინი იძულებულნი იყვნენ, მოლაპარაკება შეეწყვიტათ, რადგან მუკდენთან რუსის ჯარის დამარცხებამ დიდი გავლენა იქონია სესხის პირობებზეო. („ს.“).

რუსის ჯარის ზარალი. „დეილი ტელეგრაფ“-ს დეპეშით ატყობინებენ: რუსის არმიაში ამ ჟამად 100 ათას კაცზე მეტი კაცი არ იქნება ბრძოლისათვის გამოსადეგი. უკან 300 ათასი იაპონელი ჯარის კაცი მოსდევს, ამიტომ რუსის ჯარისათვის ბრძოლა მეტად საშიში იქნებაო. („ნ. დ.“).

ნიუ-ჩუანიდან დეპეშით ატყობინებენ „რეიტერის სააგენტოს“: იაპონიის არმიიდან დაბრუნებული ოფიცრები ამბობენ, რუსების კაპიტულიაცია (იარაღის აყრა და ტყვედ დანებება) განუწყვეტელ ნაკადულივით მიმდინარეობსო; დიდძალი მშიერი, დაჭრილი, ტანჯული რუსის სალდათი ჰნებდება ტყვედ იაპონელებსაო. („ნ. დ.“).

ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ „კენიგსბერგიშე ცაიტუნგ“-ს: ტყვე რუსების რიცხვი 100 ათას კაცამდე ადისო. („ს.“).

ლონდონის გაზეთები დღემდე ირწმუნებიან, რუსის მარცხენა და შუა (ცენტრი) არმია აღარ არსებობენო. ყველაზე ბეჯითად ამ ცნობას „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი ჰმოწმობს თავის დეპეშებში. რუსის მარცხენა ფრთამ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია გენ. კუროკის ფუშუნთან, თორემ უამისოდ იაპონელები გენ. კურიპატკინის არმიას მთლად წრეს შემოავლებდნენო. კორესპონდენტი სწერს: დამარცხებული, გულგატეხილი, არეულ-დარეული, რამდენსამე კორპუსად გაყოფილი, გაჟლეტით შემცირებული რუსის ჯარი სასოწარკვეთილებით იბრძოდა: ცდილობდა, თავი ეხსნა სრულის დაღუპვისაგან. მეტად საზარელი და საცოდავი სანახავი იყო რუსის კორპუსები. ზოგ პოლკს ჯარის კაცების ნახევარი დააკლდა, ზოგს მთლად დაეკარგა თავისი არტილერია; თორმეტის დღის განუწყვეტელ ბრძოლით დაქანცულნი გამხდარი, ფეხშიშველი, ნახევრად მშიერი რუსის სალდათები ძლივს-ღა იძროდნენ. ბევრ ბატალიონს ყველა ოფიცერი დააკლდა, ზოგი მოუკლეს, ზოგი დაუჭრეს და ზოგი დაატყვევეს. მდ. ბერეზინაზე ბრძოლა 100 წლის წინად სულ არაფრად ჩასაგდები არაა მდ. ხუნხეზე მომხდარ დიდებულ ბრძოლასთან. ნაპოლეონ I-ის ჯარს გაცილებით ნაკლები ზარალი მოუვიდა, ვიდრე რუსის ჯარს მუკდენთან თორმეტ დღის საზარელ ბრძოლაში. („ბ. ვ.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი ამ ცნობებს რუსის ჯარის მთავარ-სადგომიდან ჰგზავნის.

„დეილი ქრონიკლ“-ს ატყობინებენ, ტყუილია ის ხმა, ვითომ გენ. ბილდერლინგი დაიღუპაო. გენ. ბილდერლინგი მანდარინის გზით მივიდა ტელინს, გენ. კაულბარსი რკინის გზით და გენ. ლინევიჩი ფუშუნის გზით. გენ. რენენკამფის ბედი ჯერ არ იციან. ეშინიათ, ვაი თუ იმის ზაიკალის ყაზახთა დივიზიასაც კავკასიის ცხენოსან ბრიგადის დღე დაადგაო.

„ტაიმს“-ი იუწყება: კავკასიის ცხენოსან ბრიგადისაგან (ლეკები, ჩაჩნები, ოსები) მხოლოდ ორი აფიცერი-ღა გადარჩა: ალბრეხტი და გარტმანიო. ამ ორ აფიცერს შეუძლიან დაწვრილებით უამბონ ყველას, პარასკევსა და შაბათს (25 და 26 თებერვალს) მომხდარ ბრძოლის ამბავი, როცა კავალერია მსხვერპლად შესწირეს რუსის უკანა ჯარს. კავკასიის ბრიგადას მომეტებულ ნაწილად გვარდიის აფიცრები უფროსობდნენო. („ნ.“).

„რუსკია ვედომოსტი“-ს მიმომხილველის აზრით, რუსის სინცინტინის რაზმი იაპონელებს არ დაჰნებებია ტყვედა და გირინის გზით დაუხევია ჩრდილოეთისაკენ. ეს რაზმი 100 ვერსტამდე გაივლის, დასავლეთისაკენ მიბრუნდება და შეიძლება რუსის დანარჩენ არმიას შეუერთდესო.

მოსკოვის გუბერნიის საერობო გამგეობას დეპეშით ატყობინებენ ხარბინიდან: მოსკოვის სასანიტარო რაზმები ჩრდილოეთში წავიდნენ. ბევრი ქონება დაეკარგათო. („რ. ვ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტიც იუწყება: ლონდონში მიღებულ კერძო ცნობით, იაპონელებს 500 ზარბაზანი ჩაუგდიათ ხელშიო.

გერმანულ პრესის აზრი მუკდენის ბრძოლაზე „რუსკია ვედომოსტი“-ს ბერლინიდან ატყობინებენ: პრუსიის მთავარ შტაბის მცოდნე აფიცერი, „კრეუცცაიტუნგ“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: რუსის ჯარის ნაშთი ტელინთან ვერ შედგება. ამაზე ლაპარაკიც-კი არ შეიძლება. რუსები, მეტი ჩარა არაა, ხარბინში უნდა წავიდნენ, ესე იგი 600 კილომეტრი უნდა გაიარონ ერთად-ერთის უვარგის შარა გზით; „თვით რუსის სალდათის მამაცობა და მორჩილება ვერ იტანს ასეთ განსაცდელს“. ამისთანა გარემოებაში ომის გაგრძელება შეუძლებელია. მიმომხილველი დარწმუნებულია, პეტერბურგში მხოლოდ იმიტომ უარ-ჰყოფენ ხმებს ზავზე, რომ ჰსურთ იაპონიამ თავის მოთხოვნილებას დაუკლოსო. ბევრი წელიწადი გავა, სანამ რუსეთი მანჯურიაზე ფიქრს შეიძლებს, იქნება თავის დღეში ფიქრადაც აღარ გაიტაროს მანჯურია. რუსეთის ბედის გადამწყვეტნი ფაქტების ლოგიკასა და უბრალო აუცილებლობას უნდა დაემორჩილნენ და იაპონიას უნდა შეურიგდნენ. სხვა გზა არაა ეხლა. ამას იქით ბრძოლა—მხოლოდ უბრალო სისხლის ღვრა იქნებაო. ავტორი უმატებს, ზავის ჩამოგდება სრულებით არ შეარყევს რუსეთის მნიშვნელობას ევროპაშიო. როგორც მკითხველებმა დეპეშებიდან იციან, გერმანული ოფიციოზური გაზეთი „კელნიშე ცაიტუნგ“-იც მკაფიოდ ურჩევდა რუსეთს, რომ ერთად-ერთი ხსნა—ზავის ჩამოგდებაო. („რ. ვ.“).

ამერიკელების აზრი მუკდენის ბრძოლაზე. ამერიკის გარეშე საქმეთა სამინისტრო დარწმუნებულია, რომ რუსეთი შორეულ აღმოსავლეთში, როგორც სამხედრო ძალა, აღარ არსებობსო. უარმიოდ, უფლოტოდ რიღის გარიგება შეუძლიანო. სულ მცირედ 12 თვე გავა, სანამ რუსეთი კარგად შეიარაღებულ და ძლიერ არმიას გაჰგზავნის შორეულ აღმოსავლეთს. ამერიკელები დარწმუნებულნი არიან, იაპონელები ხარბინსა და ვლადივოსტოკს აიღებენ და შემდეგ ჯარის ორ მესამედს შინ გაისტუმრებენ და მოიცდიან, სანამ რუსეთი შერიგებას არ ითხოვს. ამერიკელები დარწმუნებულნი არიან აგრეთვე, რომ რუსეთი კონტრიბუციასაც გადიხდის—500 მილიონ დოლარსაო. („ნ.“).

ჩვენ საზოგადოებას

ამ საყურადღებო დროს, როცა ყველა, დიდი და პატარაც კი, ელის ძირითად ცვლილებას, ელის გაუმჯობესებას და განახლებას, როცა ყველას გულში მცნებად დაუსახავს ებრძოლოს სიტყვით და საქმით და შესცვალოს დღევანდელი წყობილება, ადამიანის დამამცირებელი და დამჩაგვრელი ბიუროკრატიული რეჟიმი, როდესაც ყველა ერებმა გამოსთქვეს თავიანთი სურვილი და გულის ტკივილი, რუსეთის დიდ იმპერიაში ყველგან გაისმის საერთო ჰიმნი პროტესტისა, მხოლოდ ჩვენი, საზოგადოდ ქალების და კერძოდ ქართველ ქალების ხმა არ ურევია ამ დიდებულ საერთო ჰიმნში. მივყუჩებულვართ, თითქოს მართლაც და ჩვენი ბედის კმაყოფილნი ვიყოთ, თითქოს არა გვინდოდეს-რა, თითქოს არაფერი გვაღელვებდეს. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს ასე არ არის, ვინ არ იცის, რომ ჩვენ, ქალები, ცხოვრების გარეშე გარიყულნი ვიყავით დღემდის.

ბიუროკრატიულმა, ბატონობაზე დამყარებულმა წეს-წყობილებამ შეჰქმნა ეგოისტური მიდრეკილება; მამაკაცები, რომლებიც ჰქმნიდნენ კანონებს და სხვა-და-სხვა დაწესებულებებს, წინ ეღობებოდნენ ქალების მონაწილეობას ყველაფერ საქმეში, სადაც ისინი გრძნობდნენ, რომ ფეხ-ქვეშ გამოეცლებოდათ ბატონობის მტკიცე ნიადაგი. ამნაირმა ქალების წინააღმდეგ მამაკაცების მოქმედებამ და სახელმწიფოს საერთო საყოველთაო დამჩაგვრელმა რეჟიმმა საზოგადოდ დედაკაცებსაც და მამაკაცებსაც გამოგვაცალა გამბედაობა და სიმტკიცე და განსაკუთრებით ჩვენ, ქალები, კიდევ უფრო დაგვამუნჯა. ჩვენ გულხელდაკრეფილნი შევყურებდით ჩვენ ქმრებსა და ძმებს, გვეგონა და ველოდით, რომ ისინი ყველაფერს მოაწყობენ თავიანთთვისაც და ჩვენთვისაც და მანამდის განვაგრძობდით მონურ ცხოვრებას მორჩილებაში. მაგრამ ეხლანდელმა დრომ ნათლად დაგვანახვა, რომ ცხოვრება ვერ მოეწყო სასურველად, მიიღო ანორმალური ხასიათი და ამით ჩვენ, ქალები, მოვალენი გავხდით ჩავერიოთ საზოგადო საქმეებში, ხმა ამოვიღოთ, შევებრძოლოთ ძალმომრეობას.

განცალკევება ჩვენ არ გვინდა არაფერში. ჩვენ გვინდა ერთობა და მხოლოდ ერთობა. განა ყოველი ქალი არ ოცნებობდა იმ სანეტარო, სანატრელ დროზე, როცა ის აღმოუდგებოდა მამაკაცებს გვერდში როგორც ამხანაგი ერთნაირის ცოდნით, უფლებებით და მისწრაფებით აღჭურვილ-გამსჭვალული და ორივენი წავიდოდნენ ერთად ცხოვრების გზაზე? განა ყოველ ქალს არ სტკიოდა გული, როცა მამაკაცის სახეზე ყოველ წმინდა გრძნობის შემლახველ ეჭვის ღიმილს დაინახავდა ქალების საქმიანობის შესახებ? ამიტომ ჩვენი ოცნება აქამდის ოცნებად რჩებოდა და თითქმის ეხლაც ოცნებაა, თორემ რას უნდა ნიშნავდეს ის, რომ ეხლაც, როდესაც ბეჭდვითი სიტყვა და საზოგადოება დაბეჯითებით და მტკიცედ სამართლიანად გაიძახიან წოდების და კლასების გათანასწორებას კანონის წინაშე, სინიდისისა, სიტყვის, სარწმუნოებისა და პიროვნების თავისუფლებასა და შეუხებლობაზე, ქალების გათანასწორებასა და თავისუფლებაზე აქა-იქ კანტიკუნტად ისმის ორიოდე სიტყვა? არა თუ ჩვენში, არამედ უფრო განათლებულ სახელმწიფოებშიაც-კი, სოციალისტ ბებელისა და ორიოდე სხვას გარდა, არავის არ ამოუღია ხმა ქალთა უფლებების დაცვა-აღსადგენად. მხოლოდ იქ, სადაც ამას მოითხოვდა პოლიტიკური და ეკონომიური გარემოება, მხოლოდ იმ მხარეებში, ინგლისის ავტონომიურ ახალშენებში, ავსტრალიასა და ახალზელანდიაში, ხელი შეუწყეს მამაკაცებმა და პოლიტიკურად და მოქალაქეობრივადაც გაითანასწორეს დედაკაცები. ამ გარემოებამ წინ წასწია და დღეს მოწინავე ქვეყნებად ითვლება ეს მხარეები. ამ გარემოებას კარგა ხანია უნდა დაერწმუნებინა ჩვენი მამაკაცები და თანაგრძნობით უნდა გამოეწვია ჩვენთვის ხელი.

საქმე სწვრთნის და ამზადებს ადამიანს. ჩვენი სურვილია, რომ ეს შეიგნოს ჩვენმა საზოგადოებამ **და იქ, სადაც საზოგადო საქმეზე არის მსჯელობა, ჩვენც, დედაკაცებსაც, გვქონდეს ადგილი.** მართალია, ჩვენ იქნება გვითხრან, რომ თქვენ, ქალები, არ სცდილობდით, მედგრად არ აკაკუნებდით კარებს, იქნება გაგვღებოდათო. მაშ, ჩვენ ეხლა ვდგევართ და მედგრათ ვაკაკუნებთ, გაგვიღეთ ეს სანატრელი კარები და ჩვენც დაგვანახვეთ ჰორიზონტი საერთო მოქმედებისა, საერთო ცხოვრების მოსაწყობად. დღეს ნათლად ვხედავთ, რომ აქამდის შექმნილი წესწყობილება კოტრი და ყველასათვის დამღუპველი გამოდგა. იქნება შეერთებულმა და შეთანხმებულმა ძალამ და გონიერებამ ავსტრალიის მაგალითივით წალმა მოატრიალოს უკუღმართი დრო და ჩვენც შევეძლოს შევიტანოთ სინათლე ამ საშინელ წყვდიადში, რომლის წყალობითაც ვიტანჯებით დიდი ხანია. დადგა დრო, როცა ჩვენ, დედაკაცებმა, სიჩუმის კლიტე და მონობის ბორკილი უნდა ავიხსნათ. გვინდა თანასწორობისა და თავისუფლების გზაზე გამოვიდეთ და ვინც ჩვენ მხარს დაგვიჭერს, დაგვეხმარის და დაგვიხმარს განახლებულ, ჰუმანიურ და სამართლიან ცხოვრების შესაქმნელად.

ქართველი ქალები.

თავად-აზნაურთა კერძო კომისიის მოქმედება

იყო დრო, როდესაც თავად-აზნაურობის და აგრეთვე ბევრ სხვა წოდების და კლასის ინტელიგენტ წარმომადგენელთ სავალდებულოდ არ მიაჩნდათ პირდაპირ ხალხში მოქმედება და სრულიად საკმარისად სთვლიდნენ კაბინეთურ მსჯელობას და თეორიულ მასლაათს სხვა-და-სხვა საზოგადოებრივის ხასიათის საგნებზე. უიმედობისა და პუბლიცისტურ პესსიმისმისაგან ჩატეხილი ხიდი მაშინ ხალხსა და იმის განათლებულ წარმომადგენელთა შორის ისეთს თვალგადაუწვდენელს უფსკრულს აჩენდა, რომ ქართულს კრებებზე მსჯელობის ნამდვილს მიზანს ჩვეულებრივ მარტოოდენ თითონ მსჯელობა შეადგენდა და არა პრაქტიკული მოღვაწეობა. იდეიურ მთლიანობის დასაცველად და ლოღიკის მოთხოვნის ასასრულებლად, რომლების მოქმედებას სთხოვდნენ, ქართული გონება მიმართავდა ხოლმე კომისიების შექმნას არჩეულ პირთაგან, მაგრამ ყველას წინადვე ნათლად ჰქონდა შეგნებული, რომ ეს კომისიები საქმის დასამარხავად სდგებოდნენ და არა გასაკეთებლად.

ამ დრომ ჩაილულის წყალი დალია. ხალხის მოძრაობის ტალღამ მძინარენი გამოაფხიზლა, პესსიმისტებს ნიადაგი შეურყია, ფუჭი თეორიული მასლაათი ცხოვრების გარეშე გარიყა და მძლავრად მოითხოვა ყოველის ადამიანისაგან პირდაპირი, გულახდილი, უშიშარი და თამამი სიტყვა და საქმე. ახალმა ჰაერმა მოკრძალების პირბადე აჰხადა, სხვათა შორის, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზს, რომელიც ახალს ჰანგზე ახმაურდა და რომელმაც ეხლა გულისყური ხალხს მიუქცია და არა ბიუროკრატიას. გორის მაზრიდან ჩამოსული თავად-აზნაურობა ერთხმად აღიარებდა, ჩვენი უთანხმოება გლეხებთან ჩვენი შინაური საქმეა, ჩვენის ძალღონით უნდა ჩავაყენოთ საგლეხო მოძრაობა ნორმალურს კალაპოტში, მოხელეების და ჯარის დახმარება არა გვჭირიაო. გული ხარობს და გრძნობა მტკიცდება, როდესაც ხალხი თავის გაჭირვებულ მდგომარეობის წამალს თითონ უწყებს მზადებას და სხვისაგან არ ითხოვს დახმარებას.

ჩვენ სიამოვნებით მივეგებებით იმ ფაქტს, რომ თავად-აზნაურობამ თავის კაცების გაგზავნა დაპირა გლეხებთან გულ-ახდილის სიტყვის სათქმელად, მათ სამართლიანის მოთხოვნის კმასაყოფელად და საერო ბედნიერებისკენ მიმავალ ნამდვილის გზის საჩვენებლად, როგორც თითონ თავად-აზნაურობას აქვს წარმოდგენილი ეს გზა. სიამოვნებით მივეგებებით იმიტომ, რომ, ჩვენის ფიქრით, ეხლანდელი საგლეხო მოძრაობა უპასუხოდ მაინც და მაინც არ დარჩება და, თუ ამ პასუხს თითონ თავად-აზნაურობა არ მისცემს, უეჭველია, ადმინისტრაცია იკისრებს პასუხის გაგზავნას... ადმინისტრაციამ კი ყველა მოძრაობისთვის მხოლოდ ერთად-ერთი პასუხი იცის: მათრახი და ძალა, ძალა და მათრახი. მართალია, თავად-აზნაურობის კერძო კომისია გლეხის ყველა მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებდა, მაგრამ ის კი მოსალოდნელი იყო, რომ საგლეხო მოძრაობა შედარებით მშვიდობიანს ხასიათს მიიღებდა და უფრო გონიერს და სწორე გზას დაადგებოდა.

სამწუხაროდ, ჩვენი მოლოდინი არა მართლდება. გორის მაზრის მარშალს თ. ბაგრატიონ-დავითოვს დეპეშით შემოუთვლია, გლეხებთან ლაპარაკი უნაყოფო იქნებაო, და კომისიასაც საჩქაროდ დაუდგენია, ჩვენს მოღვაწეობას ტფილისის საზღვარს ნუ გავაცილებთო. ფორმალურად რომ შევხედოთ საქმის ვითარებას, არ შეიძლება დავფაროთ, რომ კომისიას უფლებაც კი არა ჰქონდა ასეთს დადგენილებაზე გაჩერებულიყო. თავად-აზნაურთა კრებამ კომისიას ხალხში მოქმედება დაავალა და არა ტფილისში, კომისია კრებამ აირჩია და არა გორის მაზრის მარშალმა, კომისიის წევრები ზნეობრივად ვალდებულნი არიან სიტყვა-სიტყვით აასრულონ თავად-აზნაურთა კერძო კრების დავალება და, თუ რაიმე უძლეველი ან ძნელი დასაძლევი დაბრკოლება დახვდათ გზაზე, ამის შესახებ ისევ იმ კრებას უნდა დაეკითხნენ, რომლის სახელითაც ისინი ჰმოქმედობენ. მარშლის სიტყვა კომისიას აუცილებლად უნდა მიეღო მხედველობაში, რადგან მარშალი უსაბუთოდ არაფერს მოიწერებოდა, მაგრამ მარშლის აზრი არავითარს სავალდებულო არ არის ამ საქმეში და მით უმეტეს კომისიისთვის. თუ თავად-აზნაურთა კრებამ სასურველად სცნო ხალხთან მოლაპარაკება, ალბად, იმიტომ რომ ამ მოლაპარაკებას შეუძლიან სასურველი ნაყოფი გამოიღოს. უეჭველია, ან მარშალი სცდება ან თავად-აზნაურთა კერძო კრება, რადგან გლეხს ან დაკარგული უნდა ჰქონდეს უნარი გონიერის სიტყვის შეგნებისა და ან უნდა შეესმინებოდეს იგი, მაგრამ რომელია მართალი, ამის გადაწყვეტა მაინცა და მაინც კომისიის საქმე არ არის.

თუ კომისიას თავისი თავი საქმის დასამარხავად შედგენილი ჰგონია, მაშინ სხვა არის, მაგრამ თუ იგი საქმის გასაკეთებლად დაავალა თავად-აზნაურთა კერძო კრებამ, კომისიის წევრები დაუყონებლივ უნდა გაემგზავრონ სოფლებში და გონიერის სიტყვით სცადონ გლეხთა მოძრაობის ჩაყენება ნორმალურ კალაპოტში.

გ. რ.

გლეხთა მოძრაობა

პარასკევს, 10 მარტს, სამეურნეო საზოგადოების სადგომში კიდევ მოხდა კერძო კრება ტფილ. გუბერნიის თავად-აზნაურობისა. საკამათო საგანი იგივე იყო, რაც წინანდელ კრებებზე—გლეხთა მოძრაობა ქართლში. ხალხი, როგორც ყოველთვის, ბლომად შეიკრიბა. იყვნენ აგრეთვე ქართლიდან ჩამოსული თავად-აზნაურნი. არ შეგვიძლიან აქვე არ აღვნიშნოთ ის სამწუხარო მოვლენა, რომელიც კრების დასაწყისში მოხდა. ზოგიერთ ჩამოსულ თავად-აზნაურთ არაფრად ეჭაშნიკათ მათ მიმართ წარმოთქმული მცირე საყვედური და ხმა მაღალი უკმაყოფილება განაცხადეს ორატორთა სიტყვებზე. ზოგს ლაპარაკი არც-კი დააცადეს. ასე მოუქცნენ, მაგალითად, ექიმ მუსხელიშვილს, რომელიც, ასე გასინჯეთ, იძულებული გახდა კრებიდან წასულიყო. ვფიქრობთ, რომ ასეთის საქციელით ის ზოგიერთი თავად-აზნაურნი ვერასოდეს ვერ დაამტკიცებენ თავიანთ სიმართლეს, პირიქით...

კრებამ ახალი ბევრი არაფერი გამოარკვია. თითქოს ყველა ორატორმა ერთხელ კიდევ აღნიშნა გლეხთა (ზოგი ორატორის სიტყვით—თავად-აზნაურთაც) მართლაც და უკიდურესი მდგომარეობა. ხალხი გამრავლდა, წინანდელი უიმისოდაც პატარა მიწები დაიყო, ნიადაგი გამოიფიტა, ტყე გაიჩეხა და სხვა-და-სხვა,—ყველა ამან გლეხი შიმშილის პირზე მიიყვანაო. მაგრამ ამასთან ერთად თითქმის ყველამ აღნიშნა გლეხის უუფლებობა, ბიუროკრატიულ რეჟიმის გამო დაჩაგვრა, იმის პიროვნების მიწასთან გასწორება. უკანასკნელი, სულ უმნიშვნელო მოხელეც-კი ბატონი და მბრძანებელია გლეხისა. ასეთი მოხელე რასაც უნდა, იმას უზამს გლეხს.

ორიოდე ამის მაგალითი მოიყვანა ბ-ნმა გ. ვ. მაჩაბელმა. მთიულეთის ერთ სოფელში,—სთქვა მაჩაბელმა,—მთავრობის ბრძანებით, გლეხობა შეუდგა ახალ ეკკლესიის აგებას. სოფელმა მოიწვია მოიჯარადრე, გაურიგდა ცხრაას მანეთად და სამასი მანეთი წინდაწინვე ჩააბარა. მოიჯარადრემ ეკკლესია თითქმის ააშენა და დანარჩენი ფულიც მიიღო. ამ დროს გაჩნდა ბოქაული, დაიწუნა წინანდელი შენობა და საქმე ახალ მოიჯარადრეს მიანდო. ასეთ თავ-გასულობის და ძალმომრეობის წყალობით სოფელმა ცხრაას მანეთის ნაცვლად ათას რვაასი მანეთი გაი-

ფელეტონი

საფრანგეთის ისტორიიდან

მაღალი, კეთილშობილი და სამართლიანი აზრები გავრცელებული „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში“ და რაკი ეს დეკლარაცია უნდა დადებოდა საფუძვლად საფრანგეთის ახალ წეს-წყობილებას, ეს უკანასკნელიც ისეთივე მაღალი და სამართლიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვას ვხედავთ.

რა ცვლილება მოიტანეს საფრანგეთის ხალხის ეკონომიურ მდგომარეობაში? 4 აგვისტოს მოსპეს რაც კი რამ იყო დარჩენილი ბატონყმურ-ფეოდალურ წეს-წყობილებისაგან: გლეხს მიწა-წყალი განთავისუფლდა ყოველგვარ საბატონო გადასახადისაგან. მთელის სასულიერო წოდებისა და სამშობლოს მოღალატე თავად-აზნაურობის მამულები ერის საკუთრებად ჩარიცხეს, ნაჭერ-ნაჭერ დაჰყვეს და ისე მიჰყიდეს მსურველებს. გაამრავლეს წვრილ მესაკუთრეთა რიცხვი. ეს არის მთელი ცვლილება ახალ საფრანგეთის ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში. აზრად არავის მოსვლია შეხებოდნენ, მაგალითად, მემკვიდრეობის უფლებას, უთანასწორობის მთავარ წყაროს, თუმცა დეკლარაციის პირველი მუხლი ამბობს—ადამიანები სწორ უფლებიანი იბადებიანო; არავის არ უკითხავს როგორ შეიძლება ლაპარაკი თანასწორ-უფლებიანობაზე იქ, სადაც ერთი დაბადებისთანავე მილიონერია, მემკვიდრეობის უფლების წყალობით, და მეორეს კი პერანგიც არა აქვს შესამოსად.

ერთის სიტყვით სოციალ-ეკონომიურ რევოლუციაზე ამ დროს არავინ ჰფიქრობდა.

როგორ-და შეასრულეს პოლიტიკური რევოლუცია? რა წეს-წყობილება ან როგორი კონსტიტუცია მიანიჭეს საფრანგეთის ერს?

თუ ყველა თანასწორ-უფლებიანია, თუ ყოველივე მთავრობა ერისაგან წარმოსდგება, თუ ერია მეფე და სუვერენი,—და ამას პირდაპირ ამბობს დეკლარაცია,—კონსტიტუციაც შესაფერი უნდა იქნეს—დემოკრატიული, საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე დამყარებული რესპუბლიკა.

დიდ რევოლიუციის პირველ ხანაში ეს საგანი სულ სხვანაირად ესმოდათ.

მთელი ეროვნული კრება იმ აზრს ადგა, რომ საფრანგეთისათვის აუცილებელი იყო მეფობა, მონარქია. რობესპიერი, მარატი შემდეგ შეურიგებელი მტერნი მეფობისა, ერთ სიტყვასაც არ ამბობენ მეფობის წინააღმდეგ კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს. კამათი ერის წარმომადგენლებ შორის მხოლოდ იმის გამო იყო, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ეს მეფობა. ზოგი, რომელიც კი უნებლიეთ ურიგდებოდა ძველის წესწყობილების მოსპობას, თხოულობდა ძლიერ მეფეს, შესაფერის უფლებით აღჭურვილს, ზოგი მოწადინებული იყო, „მეფე იმდენად ბედნიერ მდგომარეობაში ყოფილიყო ჩაყენებული, რომ ავის ჩადენა ვერ შეეძლებოდეს“, ძალიანაც რომ მოინდომებდეს. ხანგრძლივის კამათის შემდეგ ეროვნულმა კრებამ მიიღო შემდეგი მთავარი მუხლი კონსტიტუციისა: „საფრანგეთის მთავრობა მონარქიულია; საფრანგეთში კანონი ყველაზე მაღლა დგას; მეფე მეფობს მხოლოდ კანონით და მხოლოდ ამ კანონის ძალით შეუძლია მორჩილება მოითხოვოს“-ო.

ამ მუხლის მიღებით საბოლოოდ მოისპო ძველი მეფობა; ახალი მეფე არის მეფე „ნებითა ერისათა“ და რომ ასეთი ხასიათი მეფობისა უფრო ცხადი ყოფილიყო, ეროვნული კრება კონსტიტუციაში იმეორებს დეკლარაციაში ნათქვამს —„ყოველივე მთავრობა წარმოსდგება ერისაგან და შეუძლებელია აქედან არ წარმოსდგებოდეს“-ო.

რა კი ეგრე, ერის წარმომადგენლობა, რომელსაც ორ წელიწადში ერთხელ ირჩევს ხალხი, განუწყვეტლივ უნდა მოქმედებდეს, იგი მუდმივი დაწესებულებაა, სრული საკანონმდებლო უფლებით აღჭურვილი. მართალია, ამ დაწესებულების ყოველ დადგენილებას მეფის დასტური უნდა და მეფესაც შეუძლია ეს დასტური არ მისცეს (ეგრედ წოდებული „ვეტო“-ს უფლება), მაგრამ ეს უფლებაც ძალიან შეზღუდულია: თუ კი ერთხელ მეფეს დაუდასტურებლად წარდგენილ კანონ-პროექტს, მეორედ და მესამედ წარუდგენენ მეორედ და მესამედ არჩეული წარმომადგენლები, მეფემ დასტური უნდა მისცეს და თუ არ მისცა, ისედაც დაკანონდება, აი რა დაადგინა ეროვნულმა კრებამ საკანონმდებლო კრების ასამაღლებლად და მეფის უფლების შესამცირებლად.

განა რომ ყველაფერი რიგზე მოეწყო ძველ თვით-მპყრობელობის მოსასპობად, მაგრამ ვინ არის ეს ერი, რომლისაგანაც წარმოსდგება ყოველი მთავრობა? როგორ ესმოდა სიტყვა ერი ეროვნულ კრებას? როგორც ყველა ფრანგები განურჩევლად წოდებისა, ქონებისა და სქესისა, თუ როგორც რომელიმე უპირატესობიანი ნაწილი ერისა?

როგორც ვიცით, წოდებრივობა უკვე მოსპობილი იყო: ამ მხრივ ყველა ფრანგები თანასწორნი იყვნენ. წოდება მოისპო, მაგრამ მისი ადგილი ქონებამ დაიკავა. ნამდვილი პოლიტიკური უფლება, ე. ი. უფლება მონაწილეობისა საკანონმდებლო დაწესებულებაში არჩეულ წარმომადგენლის საშუალებით, აკუთვნეს მხოლოდ ცოტად თუ ბევრად შეძლებულებს; ვინც სულ არაფრის პატრონი იყო გარდა თავის მარჯვენისა, ან ვისაც ისე ცოტა ჰქონდა, რომ სახელმწიფოს პირდაპირ გადასახადს არ აძლევდა, არც პოლიტიკური უფლება ჰქონდა. „სახელმწიფოში ყველას აქვს პასიურ მამულისშვილის უფლება; ყველას აქვს უფლება პიროვნების, საკუთრების და თავისუფლების უზრუნველყოფაზე, მაგრამ ყველას არა აქვს უფლება მიიღოს აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ დაწესებულებათა შექმნაში, ყველა ვერ იქნება აქტიური მამულისშვილი“-ო, ამბობდა განთქმული სიესი შეძლებულების ან, ეხლანდელი სიტყვა რომ ვიხმაროთ, ბურჟუაზიის უფლებათა საუკეთესო გამომხატველი და დამცველი. ერთის სიტყვით, თუ დეკლარაციაში უკვე ნახაზული იყო დემოკრატიული და სოციალური რესპუბლიკა, ახალ კონსტიტუციაში, ეროვნულ კრების უმრავლესობის შეხედულობით, ცხადი იყო ტენდენცია ნამდვილ ბურჟუაზიულ წესწყობილებისა.

საბრალო ხალხი, ბასტილიის ამღები და ეროვნულ კრების მხსნელი მეფისა და სასახლის მოქმედებისაგან, ჯერ ვერც კი მიხვდა, თუ როგორის უმადურობით გადაუხადეს მისი დიადი ღვაწლი, და ამიტომ არც პროტესტი გამოუცხადებია ასეთ აშკარა უსამართლობის გამო. პირიქით, ერთხელ კიდევ იხსნა საფრანგეთი ძველის წესწყობილების ხელ-ახალ გაბატონებისაგან.

მეფე პარიზს ახლო სცხოვრობდა ვერსალის სასახლეში, და სანამ ეროვნულ კრებაში ასეთი გაცხარებული პოლიტიკური მოქმედება იყო, აქაც არ ეძინათ. დედოფლის მეთაურობითა და ხელმძღვანელობით დიდი შეთქმულება გაიმართა; მეფე უნდა გაექციათ ვერსალიდან, მიეყვანათ მეცის სიმაგრეში, იქ ჯარისთვის თავი მოეყარათ, პარიზს თავს დასცემოდნენ და აღედგინათ ძველი რეჟიმი. ყველაფერი მზად იყო ამ განზრახვის შესრულებისათვის და შეასრულებდნენ კიდეც, მაგრამ სცენაზე ისევ გამოვიდა პარიზის ხალხი და რევოლიუციაც გადარჩა დიდ განსაცდელს: შეიარაღებული მივიდა ვერსალში, სასახლეს ალყა შემოარტყა და მანამ არ მოისვენა, სანამ მეფე და სასახლე პარიზში არ გადმოასახლა. (1789, 5 ოქტომბერი). ამ დროიდან საფრანგეთის მეფე ლუი XVI-ე შეიქნა ტყვე პარიზელებისა; პარიზელები ფიქრობდნენ თავდები, რომ იგი ვერსად წავიდოდა რევოლიუციის წინააღმდეგ სამოქმედოთ; თვითონ პარიზში-კი ვერას გააწყობდა, რადგან თანაგრძნობა თითქმის არავინ ჰქონდა, გარდა უძლურ კარის-კაცებისა. ძველ წესწყობილების მთავარი მოტრფიალენი საზღვარ-გარეთ იყვნენ ან საზღვარზე იდგნენ და ელოდნენ მეფეს, რომ ენერგიულ მოქმედებას შესდგომოდნენ.

და ნუ თუ რევოლიუციის ერთად-ერთ მხსნელ ხალხს დამცველი არავინ გამოუჩნდა, როცა იგი არაფრად მიიჩნიეს და მთელი პოლიტიკური ძალა და გავლენა ქონების პატრონებს არგუნეს?

იყვნენ დამცველები და მალე მათი რიცხვი ისე გაიზარდა, რომ მრისხანე ძალას წარმოადგენდნენ.

მართალია, ეროვნულ კრების პირველ დღეების განმავლობაში არავინ ყოფილა ნამდვილი დემოკრატი, საყოველთაო საარჩევნო უფლების მომხრე, მაგრამ მაშინ კიდევ ხალხს არ იცნობდნენ; იგი მხოლოდ ჯოგი, შეუგნებელი ბრბო ეგონათ. ხალხის თავდადებამ თავისუფლებისათვის და ბასტილიის აღებამ ხალხისავე ინიციატივით ბევრს თვალი აუხილა და დაანახვა ხალხის ნამდვილი ღირსება-ნაკლულევანებანი.

პირველად ყველაზე უკეთ ხალხის დემოკრატიული მისწრაფება ეროვნულ კრების ა

ლო. თვითეულ სულს,—ქალსა და კაცს, დიდს, პატარას და ძუძუ-მწოვარას—შეეწერა ორი მანეთი და სამი აბაზი.

იმავე მთიულეთში, როგორც ვუწყით, ძალიან მისდევენ მეცხვარეობას. ვინ გინდა, რომ მეცხვარეს არ იბრიყვებდეს. ცხვრის გარეკ-გადმორეკა ერთი ტანჯვაა მეცხვარისათვის. სხვათა შორის, საქართველოს სამხედრო გზაზე, გზის პირად სცხოვრობდა ტყის გამგე (ლესნიჩი). რამდენიც ცხვარი გამოივლიდა, იმდენს ეს „ლესნიჩი“ თითო ცხვარზე ორ კაპეიკს იღებდა მხოლოდ იმიტომ, რომ ქვემოდ გზის პირად ტყე იყო და ცხვარი შესაძლებელია შიგ შესულიყო. აი, ამ „შესაძლებლობისთვის“ იღებდა ცხვრის თავზე ორ კაპეიკს ეს პატარა ბიუროკრატიო,—დაუმატა ბ-ნმა მაჩაბელმა.

თავ. დ. ლ. თარხნიშვილის სიტყვით, დიდი უბედურება მოაქვს სოფლისა და მთელ სახელმწიფოსთვის წოდებრივ განცალკევებას. თავად-აზნაურობა მრავალის უფლებით არის აღჭურვილი, გლეხს-კი არაფერი უფლება არ მოეპოვება. ასეთის უსამართლობის გამო სოფლად ყველაფერი თავად-აზნაურობის კერძო ხდება. იმისკენ არის ადმინისტრაციაც, მამასახლისიც, მღვდელიც, გზირიც და ყველა სხვა, ვინც-კი ცოტად თუ ბევრად ძალისა და უფლების მქონეა.

საზოგადოდ, დღევანდელი რეჟიმი ჰხუთავს და სისხლს უშრობს არა მარტო გლეხობას, თვით თავად-აზნაურობასაც. ოცი-ოცდა ხუთის წლის წინად,—სთქვა ბ-ნმა ე. იოსელიანმა, რუსეთის იმპერიის ბიუჯეტი ცხრაას მილიონს შეადგენდა, დღეს-კი ორ მილიარდს აღემატება. სხვა სახელმწიფოშიაც მატულობს ბიუჯეტი, მაგრამ იქ ფული ხალხსავე ხმარდება, იმის ცხოვრების გაუმჯობესებას, ნიადაგის გალონიერებას და სხვას. რუსეთში არაფერი ასეთი არ არის.

კამათმა ნაშუადღევის პირველ საათამდე გასტანა. გამოირკვა, რომ ყველა მოწადინებულია მშვიდობიანად საქმის გათავებას. მხოლოდ ერთი მემამულე ამბობდა, ადმინისტრაციას მივმართოთო, მაგრამ ჯარზე არც ამას უთქვამს რამე. კრებაზე ყველანი სთხოვდნენ წინად არჩეულ კომისიას, წავიდეს, მოელაპარაკოს გლეხობას და ასე თუ ისე მოაგვაროს საქმე. კომისიის ერთმა წევრმა აცნობა კრებას, რომ კომისია ეხლაც მუშაობს, ცნობებსა ჰკრებს და მალე თვით საქმესაც შეუდგებაო. კომისიას უნდა თურმე მიიწვიოს სხვა-და-სხვა დასის და აგრეთვე პრესის წარმომადგენელნი და იმათთან ერთად მოაგვაროს საქმე.

კრების დაწყებამდე, არ ვიცით რად, წაკითხულ იქნა ბ-ნ ივ. სპ. ჯაბადარის წერილი, რომელიც ავტორს მინისტრთა კომიტეტში გაუგზავნია. წერილი, ჩვენის აზრით, მეტად ზეზეურად არის შედგენილი. ავტორი ეხება მომავალ არჩევნებს საერო კრებაში და ამბობს, რომ ქართველებსაც უნდა ნება მიეცეთ თავიანთი წარმომადგენელნი იყოლიონო, ეს იმიტომაო, რომ ქართველები რუსებთან ერთად მთელი მეცხრამეტე საუკუნე მტრებს ებრძოდნენ და სისხლსა ღვრიდნენო. ეს არის მთელი არგუმენტაცია ავტორისა. კრებამ, რა თქმა უნდა, ყურადღება არ მიაქცია ამ წერილს და კამათი არა ჰქონია იმაზე.

—

„კავკაზი“ სწერს: „ტყულია ის ხმები, ვითომ **თავად-აზნაურთა კომისია** თავ. ა. ი. ჯამბაკურიან-ორბელიანის მეთაურობით წასულიყოს ან აპირებდეს წასვლას გორის მაზრაში. არავითარი საკითხი ამ მგზავრობის შესახებ არ აღძრულა არც ტფილისის საგუბერნიო და არც კავკასიის უმთავრეს ადმინისტრაციის წინაშეო“.

—

7 მარტს, როგორც გაზეთებში ვკითხულობთ, შორაპნის მაზრის სოფელ ვარძიაში 500 **გლეხი შემოხვევია** კიკოს ბერძენთა მონასტრის მამულის გამგეს არქიმანდრიტ სამოელს და მოუთხოვნიათ მონასტრის უძრავ-მოძრავ მამულის ჩაბარება. ხალხს წაურთმევია ის გრამოტერი, რომელიც ძველად ქართველ მეფეებს მიუციათ მონასტრისთვის, ქაღალდები და სხვა. არქიმანდრიტი ტფილისში ჩამოსულა.

—

პავთისხევი (ქართლი). ყველგან, საზოგადოდ, როგორც სხვაგან, ჩვენშიაც ლხინისა და მხიარულების დროს, მაგრამ... დრონი იცვალნენ და ეხლა ამეებისთვის აღარავის სცალიან. ვერ მოიცალეს ამისთვის ვერც კავთისხევის საზოგადოების მცხოვრებთაც. ესენი შეიკრიბნენ და თავიანთი გაჭირვება ერთმანეთს გაუზიარეს. საყურადღებოა, რომ ზოგიერთი თავად-აზნაურიც გლეხებს მხარში უდგნენ და ერთხმად მოქმედობდნენ. ორის დღის განმავლობაში ხალხი თვით ბჭობდა თავისს საქმეებზე, ხოლო მესამე დღეს მოვიდა მაზრის უფროსის თანაშემწე ბოქაულით და სეროჟო დარაჯებით. აი უმთავრესი მოთხოვნილებანი, რომელიც ხალხმა წარუდგინა მოსულებს: 1. მოისპოს მღვდლის დრამა-კოდი პური; 2. სამკვდრო და ჯვარის-საწერი სამი მანეთი დაწესდეს; 3. სასოფლო მუშაობაში ყველა წოდებამ მიიღოს მონაწილეობა; 4. მოისპოს საბალახო; 5. მოისპოს ეგრედ წოდებული „პოდოჟენიე“, რომლის ძალითაც მემამულეს უფლება აქვს, თუნდაც მხოლოდ გავლილი ნახოს სხვისი საქონელი თავისს მამულში, გადაახდევინოს დაწესებული ჯარიმა; 6. ტყე საერთო იყვეს; 7. საიჯარო მამულების ყოველივე გადასახადი მემამულემ გაიღოს; ურწყავიდან მიეცეს მეოთხედი, სარწყავიდან მესამედი; 8. მოისპოს ჩარჩობა, ყოველივე მოსავალი ადგილობრივ გაიყიდოს. 9. სარგებელი თვეში თუმანზე ორ შაურზე მეტი არავინ აიღოს; 10. ნავზე გასვლა-გამოსვლაზე შაური დაწესდეს; 11. ქსანსა და კასპს შუა „რაზიეზდზე“ ბილეთები დაწესდეს; 12. მოისპოს არაყის აქციზი და სხვა.

მწერალი წინა დღითვე გადააყენა ხალხმა, რადგან, ამბობდნენ, „მოსე მწერალს“ გაცოდებით საჭარბობსო. ხოლო მამასახლისის გადაყენება ხალხმა თანაშემწეს სთხოვა; როდესაც მან მიუგო, მე უფლება არა მაქვს მამასახლისს ჯაჭვი აჰყაროო, ხალხმა იგრიალა, მაშ ჩვენ თვითონ ავყრითო. მაშინ დაფაცურდა მამასახლისი, თვალცრემლიანმა ჯიბისკენ ხელი წაიღო და ამოაცალა ჯაჭვი. იყო სხვა წვრილმანი მოთხოვნილებანიც. ზოგიერთები სისულელესაც ჰყვიროდნენ, მაგრამ ეს შეუგნებლობით მოსდიოდათ. საზოგადოდ-კი ამდენს ხალხში სამაგალითო რიგიანობა და მშვიდობიანობა სუფევდა. თანაშემწემაც მადლობა გადაუხადა, რომ მშვიდობიანად ითხოვეთ ყველაფერიო. პასუხს ელიან. ვნახოთ რა იქნება.

გურიის ამბები

ნიგოითის კრებაზე წინ წამოდგა ერთი დეპუტატთაგანი, 70 წლის, მხნე შესახედაობის მოხუცებული კაცი და შემდეგის სიტყვებით მიმართა კრიმ-გირეის. „მე კარგად მახსოვს ბატონ-ყმობა. 8 წლის ვიყავი, როცა ბატონმა წაართვა ჩემი თავი მშობლებს და მიმსახურებდა. მაშინ ხომ სამართალი ბატონის ხელში იყო. ბატონი მამა ჩემს ყოველ წელს ახდევინებდა ერთ ძროხას, 4 საწყავ ღვინოს (საწყავი—2 ფუთია), 12 ქათამს, ბატონის ეგრედ წოდებულ ქორისა და მიმინოს ქათმებს. უნდა ეხადა აგრეთვე „სალიანის“ (ეს სიტყვა ვერ ახსნა დეპუტატმა) ფული 20 კაპ. წელიწადში. თვითეულ მუშა კაცს, რომელიც ოჯახში დარჩებოდა, უნდა მიეცა ბატონისათვის წელიწადში 10 ფუთი ღომი. კომლზე აგრეთვე 10-მანათიანი ღორი უნდა მიეცათ ბატონისათვის გლეხებს. გლეხები მსახურიშვილებად და უბრალო გლეხებად განიყოფებოდნენ. მსახურიშვილობა უფრო საპატიო იყო. მოსამსახურეები, შინა-ყმანი ბატონს მსახურიშვილ გლეხთა ოჯახებიდან მოჰყავდა. გლეხებს უნდა ეხადათ აგრეთვე „საციხო ღომი“, ბატონის ციხის საჭიროებისათვის, კომლზე 1 ფუთი. ბატონი თავის ცხენებს ჩაუყენებდა ხოლმე გლეხებს ოჯახში, თითო-თითოს, თავის მეჯინიბით, რომელნიც გლეხებს 2—3 თვეს უნდა ერჩინათ. გლეხს, რომელსაც ბატონი დამნაშავედ სცნობდა, ხელ-ფეხზე ჯორკოს (ბორკილს) უკეთებდნენ და ამწყვდევდნენ სატუსაღოში. დამნაშავის მშობლებს ჯარიმას ადებდნენ და ბოქაულს უგზავნიდნენ დასარბევად. პირუტყვული ცხოვრება იყო ჩვენი ცხოვრება. მიწა თუ საკუთარი არ ჰქონდა გლეხს, სხვის ადგილში უნდა ემუშავნა და ისე დაეკმაყოფილებია ბატონი. პირველად, ტყეს რომ გასჭრიდა გლეხი, ადგილით უფასოთ სარგებლობდა. შემდეგ მებატონეებმა ათის თავი მოსთხოვეს გლეხებს ახალ გაკაფულ ადგილების მოსავლისას. ამის მიზეზით გურულებმა ბუნტი მოახდინეს 1866 წ. ნიგოითში. ბატონ-ყმობა გურიაში 1868 წელს მოისპო. „უსტავნოი გრამოტებში“ მებატონეებმ საუკეთესო ადგილები თავისთვის ჩააწერინა. ხალხმა პროტესტი გამოუცხადა ადმინისტრაციას ამ უსამართლობის გამო. მამა-ჩემს ხელმძღვანელობა დასწამეს, დაიჭირეს, გაამათრახეს და მერე სადღაც გადაკარგეს. ჩვენ აღარ მოგვსვლია იმისი ამბავი. ზოგს ისეთი ნადელები ერგო, რომ დასამუშავებლად არ ღირდა. იძულებული გახდა სხვის ადგილები აეღო იჯარით და ბატონი ამ ადგილების მოსავლიდან დაეკმაყოფილებია. თან-და-თან მებატონეებმა ადგილების გადასახადს—საყანულს მოუმატეს. 1901 წელს ჩვენი მემამულეები გაიფიცნენ, შეთანხმდნენ და გამოგვიცხადეს, აბა და ამ პირობით თუ არ იმუშავებთ, ჩვენ ადგილებში არ შეგიშვებთო. უნდა მიგვეცა მათთვის კარგი ადგილის მოსავლის ნახევარი და უვარგისის $^1/_3$. მიწის შელობვა და თესლი ჩვენი უნდა ყოფილიყო, აგრეთვე მოურავის ქრთამებიც. სასიმინდეც ჩვენ უნდა გაგვეკეთებია. მოსავლის გაყოფის დროს ჯერ ბატონისათვის უნდა მიგვეტანა იმისი კერძი, ამ დროს ჩვენი ყანაში ლპებოდა, პირუტყვი სჭამდა ან არა და ჩვენი დაუძინებელი მტერი—რიონი (ნიგოითი მდ. რიონის ახლოსაა) ადიდდებოდა და წაიღებდა მთელ ჩვენ მოსავალს. მეტად შეგვავიწროვეს მემამულეებმა. მოთმინება დავკარგეთ და ჩვენის მხრით გაფიცვა მოვახდინეთ და ჩვენი პირობები წარვუდგინეთ მემამულეებს. პასუხად მემამულეებმა ჩვენი საქონელი დააჭერინეს საძოვარზე, რაიცა წინად არ მოუხდენიათ, უფასოდ იყო ჩვეულებისამებრ საძოვარი ადგილები. მოურავები დაფაცურდნენ, დაგვაბეზღეს ბატონებთან, გლეხები ადგილის წართმევას გიპირობენო. მემამულეებმა პოლიციას მიმართეს და მიუთითეს, ესა და ეს კაცები აბუნტებენ ხალხსაო. დააჭერინეს ჩვენი მეზობლები, რომლებიც დაჭერილ საქონლის გამოსახსნელად წავიდნენ, და აგრედვე სხვებიც, და ლანჩხუთის სატუსაღოში ჩასვეს. ჩვენ მთელი საზოგადოებით ჩავედით ლანჩხუთს და მოვითხოვეთ დახსნათ ჩვენი ამხანაგები. ჩვენ მიერ ამორჩეულებმა სთხოვეს მემამულეებს დაჭერილი საქონელი დაებრუნებიათ. პასუხის მაგიერ მემამულეებმა დააჭერინეს ჩვენი წარმომადგენელი 5 კაცი. ბოქაულად მაშინ იქ ქელბაქიანი იყო.

ჰკითხეთ თვით ქელბაქიანს ჩვენის დასწრებით და დარწმუნდებით, რომ ნამდვილ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ. ამაზე კრიმ-გირეიმ უპასუხა, ქელბაქიანი ოზურგეთშია; თუ შეიძლება, თქვენი წარმომადგენლები გამოგზავნეთ იქა და ერთად მოვილაპარაკებთ ქელბაქიანთანაო. ნიგოითელებმა ამაზე უარი უთხრეს კრიმ-გირეის. პოლიცია უეჭველად დაიჭერს ჩვენ გაგზავნილ დეპუტატებს; მეტად გულ-გატეხილნი ვართ მთავრობისაგან. ეხლაც, თქვენ რომ ასე თავისუფლად გელაპარაკებით, არ ვიცით რა მოგველის იმისთვის მთავრობისაგან.

ჩვენ ამხანაგების განთავისუფლება ვსთხოვეთ ბოქაულს ქელბაქიანს. უკანასკნელმა შემოგვითვალა, თქვენ წადით და გავანთავისუფლებო. დილიდან საღამომდის ვიცადეთ. საღამოს გამოუშვეს ჩვენი ამხანაგები, რომელნიც 2 დღე და ღამე იყვნენ დამწყვდეულნი სრულებით უდანაშაულოდ.

გავიდა რამდენიმე ხანი. მოუსავლობა იყო ჩვენში. ისეთ გაჭირვებაში ჩავარდით, რომ იძულებული გავხდით მღვდლებისათვის მიგვემართა და გვეთხოვნა ებატიებინათ ჩვენთვის დრამის ფული. რამდენიმემ მათგანმა დააკმაყოფილა ჩვენი თხოვნა. სხვებმა კი მთავრობას აცნობეს, გლეხები დრამის ფულის მოსპობას თხოულობენო. მოვიდა მაზრის უფროსის თანაშემწე წერეთელი. დაგვიბარეს მთელი საზოგადოება. წერეთელმა გამოგვიცხადა, მითხრეს ნიგოითი გაგიჟდაო. მე კი არ მჯერა, რომ ეს ასე იყოსო. ვსთხოვეთ ჩვენი გაჭირვების ამბავი მოესმინა. ამოვირჩიეთ მხნე კაცები და დავავალეთ მოეხსენებიათ ჩვენი შევიწროება მემამულეებისა და მღვდლებისაგან. ვითხოვეთ ჯამაგირით დაკმაყოფილებულიყვნენ მღვდლები და „დრამის“ ფულზე ხელი აეღოთ. განა არ ეყოფოდათ ის გადასახადი, რომელსაც სხვა-და-სხვა საეკკლესიო წესის შესრულებისათვის გვახდევინებდნენ? სუმთლად გაგვატყავა მღვდლებმა.

კრიმ-გირეიმ გამოუცხადა კრებას, სინოდმა საეკკლესიო წესების ნიხრი დაურიგა სამღვდელოებას, ეს ნიხრი ბლაღოჩინებსა აქვთ და მღვდლებს უფლება არა აქვთ, იქ აღნიშნულ ფასებზე მეტი გადაახდევინონ ხალხსაო.

წერეთელმა ჩასწერა ყველა ჩვენ მიერ ამორჩეულ დეპუტატის სახელი და გვარი. სულ ოცდაოთხი კაცი იყო. ჩვენ უკანასკნელი სიტყვა გამოუცხადეთ წერეთელს: ცოლშვილი შიმშილით გვიწყდება; დრამა-ფულს ვერ გადვიხდით და მემამულეების მამულში ვერ ჩავალთო. მთავრობის კაცმა წერეთელმა, რომლისაგან შველას ველოდით, ყვირილი და ლანძღვა დაგვიწყო: ნადირები, მხეცები, ვირები დაგვიძახა; თუ არ დააკმაყოფილებთ მღვდლებს და იებატონეებს, ისე დაგწურავთ, როგორც თქვენ კვერა ფხალის დაწურვა იცითო. თქვენ, ალბათ, გაგიგონიათ, რომ საფრანგეთში რესპუბლიკაა და აქაც ამ რესპუბლიკის შემოღება გინდათო? მაშინ ჩვენ სრულებით არ ვიცოდით რა იყო ეს სიტყვა, საჭმელი იყო, თუ სასმელი. ის კი ვიცოდით, რომ ხალხი ყველგან გაჭირვებულია. წერეთლის სიტყვებმა გამოგვაფხიზლა და შევუდექით მერე საფრანგეთის რესპუბლიკის გამოკვლევას. ბოლოს შემოგვძახა წერეთელმა: „თქვენი [illegible]ანა ცხელია, თავში ცეცხლი გაგიჩინათ და ცივ ქვეყანაში უნდა გიკრათ თავიო“. არ შემიძლია სიტყვით გადმოგცეთ, ბატონო,—უთხრა დეპუტატმა კრიმ-გირეის,—რაც იმან დილიდან საღამომდის ჩვენზე მუქარა და ლანძღვა დახარჯა. ორი კვირის შემდეგ გუბერნატორი ჩამობრძანდა სალდათებით და კაზაკებით. მოგვიყარეს მთელ საზოგადოებას თავი და გამოგვიცხადეს კაცები ამოგვერჩია მოსალაპარაკებლად. ავირჩიეთ ხუთი კაცი. თვითეულმა მათგანმა დაიწყო ლაპარაკი და აუხსნა მღვდლებისა და მემამულეების წყალობით ჩვენ კარზე მომდგარი გაჭირვება. გუბერნატორმა გამოუცხადა ჩვენ ამორჩეულ დეპუტატებს: თქვენ აგიბუნტებიათ ხალხი და თქვენვე უნდა დააწყნაროთ; თუ არ დაემორჩილებით მემამულეებსა და მღვდლებს, ყველას ცივ ქვეყანაში გადაგასახლებთო.

ათი დღის შემდეგ ისევ მოვიდა გუბერნატორი, დააჭერინა ეს ჩვენი ამორჩეული ხუთი კაცი, აგრეთვე ის ხუთი კაცი, რომლებიც ჩვენი საქონლის თაობაზე იყვნენ წინად დამწყვდეულნი და კიდევ თორმეტი კაცი იმათგანი, რომელთაც წერეთელთან ჰქონდათ მოლაპარაკება—სულ ოცდაორი კაცი. მათ შორის ზოგი გადაასახლეს და ზოგიც ციხეებში დაამწყვდიეს. გუბერნატორს ყრილობა არ მოუხდენია, არაფერი უკითხავს ჩვენთვის: უკვე სია ჰქონდა შედგენილი და ყველა იმ სიაში შეტანილი კაცები დაიჭირა, შემოუსია კაზაკები, გაამათრახებია, შემდეგ ვაგონში ჩაყარა და გაგზავნა ქუთაისში. **ი. ნაკაშიძე.**

(ამ წერილის დასასრული ხვალ)

ბათუმის „ცნობის ფურცლის“ ხელის მომწერლებს უმორჩილესათ ვთხოვთ 13 მარტიდან თუ გაზეთის ნომრები არ მიუვიდეთ მიჰმართონ ამხ. „გიორგიას“ კანტორას.

ახალი ამბავი

✦ გუშინწინ ტფილისის ქალაქის მოურავმა შუამდგომლობა აღძრა გენერალ მ. დ. მალამას წინაშე, ნება მისცეს ტფილისს ითავოს და მოიწვიოს ტფილისში **კავკასიის ქალაქის მოურავთა წარმომადგენლების** კრება. კრება გამოარკვევს ჩვენის ქვეყნის საჭიროებებს. გენ. მალამამ უთხრა, ამ დღეებში ჩამოვა კავკასიის ნამესტნიკი და იმას მიმართეთ მაგ შუამდგომლობითაო.

✦ გუშინ, 11 მარტს, ტფილისის ქალაქის მოურავმა კავკასიის **ნამესტნიკს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს** გაუგზავნა მილოცვის დეპეშა.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შეიმუშავა მოხსენება **კავკასიის სასოფლო-მეურნეობის საჭიროებათა** და იმ საკითხის გამო, რომელიც შეეხება სახელმწიფოს კეთილგანწყობილებასა და მცხოვრებთა კეთილ-მდგომარეობის წარმატებას. მომავალ კვირაში საზოგადოების კრება ამ მოხსენებას განიხილავს.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სარემონტო სახელოსნოს მუშებმა, რიცხვით ასე ოცდა ათ კაცამდე, და ლიანდაგის მუშებმა ას კაცამდე, სთხოვეს ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსს ივანოვსკის, **გაფიცულ დროში** ფული მიეცეთ. რკინის გზის უფროსმა უპასუხა, მინისტრის განკარგულებით მარტო უმთავრეს სახელოსნოს მუშებს უნდა მიეცეთ გაფიცულ დროშიო. ბ-ნი ივანოვსკი დაჰპირებია ამ მუშებს, აღვძრავ შუამდგომლობას მინისტრის წინაშეო. როგორც გვიგია, უფროსს აღუძრავს კიდეც შუამდგომლობა.

✦ ერევნის ქალაქის მოურავმა სთხოვა ტფილისისას, შეატყობინოს რა აზრისაა ტფილისის თვითმმართველობა **პეტერბურგში დეპუტაციის გაგზავნის** შესახებ. ამასთან ერევნის ქალაქის მოურავი სწერს, კარგი იქნება ტფილისმა ითავოს და მოიწვიოს კავკასიის ქალაქის მოურავთა და წარმომადგენელთა კერძო თათბირიო.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ პრემია (ჯილდო) დანიშნა იმათთვის, ვინც კანტროლის დროს მატარებლებში **უბილეთო მგზავრებს** აღმოაჩენს.

✦ 9 მარტს **ფოთში თავს დასცემიან** საფოსტო კანტორას. წაუღიათ 300 მანეთი.

✦ კავკავში, ადგილობრივ გაზეთის სიტყვით, 6 მარტს ჰაუპტვახტიდან **გაქცეულა ოთხი სალდათი.** ოთხივე ოსია.

✦ ვაჟთა მეორე გიმნაზიის ყველა კლასი, გუშინ ამ სასწავლებლის მთავრობამ **ოფიციალურად დახურა** და ვინც დადიოდა დაითხოვა.

✦ როგორც გვატყობინებენ, 10 მარტს ამიერ-კავკასიის რკინის გზის **სასწავლებელში ყვირილაში** ხალხი მივიდა და სწავლა შესწყვიტა.

✦ კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა ნება დართო ამ წლის გადადებულ **გადმოსასახლებელ თანხიდან** სოფ. მიხაილოვსკის რუსებს მიეცეთ შვიდასი თუმანი. აქედან სამასი თუმანი შენობისთვის ტყის მასალის შესამზადებლად და ოთხასი თუმანიც სახლ-კარის მოსაწყობ და ავეჯეულობის შესაძენად.

✦ ხუთშაბათს, 17 მარტს საარტისტო საზოგადოების დარბაზში გაიმართება კონცერტი **ტფილისის ქართულ საფილარმონიო საზოგადოების** სასარგებლოდ. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი სოფ. დ. დიასამიძისა, ბარბარე ამირაჯიბი, ინასტასია ნ. ჯამბაკურ-ორბელიანისა და ვ. ზაგიუ; ბ-ნნი ალ. მირანოვიჩი, სტ. ბარხუდარიანი, ალ. რჩეულიშვილი, ვიოლონჩელის დამკვრელი თავ. ილ. აბაშიძე, ზ. ნასიძე და ქართული ხორო და ორკესტრი ზაქ. ფალიაშვილის დირიჟორობით. იმედია, ამ კონცერტს საზოგადოება ბლომად დაესწრება.

✦ რადგან ქალაქ ტფილისის **სასწავლებლებში** (1872 წლის დებულებისა) **უწესოებებია**, რამდენიმე კრება მოხდა ამ სასწავლებლების ინსპექტორებისა. „ტ. ლ.“-ი საყვედურს აცხადებს, რომ ამ კრებებზე არ მიიწვიეს მასწავლებელნი, ე. ი. ისინი, ვინც უფრო ახლო დგანან მოსწავლეებთან.

✦ ამ ორი დღის წინად ვწერდით, რომ **ავლაბრელთა დეპუტაცია** კავ. სამოსწავლო

უსამართლობის გამო კამილ დემულენმა გამოსთქვა:.. საფრანგეთში არისტოკრატიული მართვა-გამგეობა შემოიღეს (ქონების, ცენზის შემოღებით საარჩევნო უფლებისათვის) და ეს უდიდესი გამარჯვებაა ცუდ მამულიშვილებისა ეროვნულ კრებაში. ამ დადგენილების სრულ უაზრობის დასამტკიცებლად საკმარისია ვსთქვათ, რომ ჟან-ჟაკ რუსსო, კორნელი, მაბლი ვერ იქნებოდნენ არჩეული ხალხის წარმომადგენლად. ერთმა მეგაზეთემ გამოაცხადა, რომ სასულიერო წოდების წარმომადგენლებ შორის ერთის გარდა ყველა მომხრე იყო დადგენილებისაო... საზიზღარნო მღვდელნო, ნუ თუ ვერ ხედავთ, რომ თქვენი ღმერთიც ვერ გახდებოდა ხალხის წარმომადგენელი? იესო ქრისტე, რომელსაც ადიდებთ თქვენ ეკკლესიაში, უუფლებო ბრბოში ჩარიცხეთ! და თქვენ უნდა გქონდეთ პატივი, თქვენ პროლეტარ ღმერთის, პასსიურ მამულიშვილის მღვდლებს? პატივი ეცით სიღარიბეს, რომელიც თქვენმა ღმერთმა გააკეთილშობილა! რა გსურთ სთქვათ, „აქტიურ მამულიშვილს“ რომ ასე ხშირად იმეორებთ? აქტიური, მოქმედი მამულიშვილები ისინი არიან, ვინც ბასტილია აიღო, ვინც მიწას გულს უხსნის; მცონარე სასულიერო წოდება და კარის კაცნი კი, მიუხედავად თავიანთ დიდ ქონებისა, ემზგავსებიან თქვენის სახარების იმ ხეს, რომელსაც ნაყოფი არ მოაქვს და რომელიც ცეცხლმა [illegible]“.

ასევე მკაცრად ჰკიცხავს ეროვნულ კრებას მეორე ჟურნალისტი ლუსტალო, რომელიც, სხვათა შორის, ამბობს, რომ მდიდრების არისტოკრატია უკვე დაწესებულია ურცხვად ეროვნულ კრების ამ დადგენილებით.

ხალხიც იღვიძებდა და ხედავდა, ტად უსამართლოდ მოექცნენ. პირველად, მოსალოდნელი იყო, პარიზმა ამოიღო ხმა. რამდენიმე განცხადება შეიტანეს ეროვნულ კრებაში და თხოულობდნენ საარჩევნო ცენზის მოსპობას: შეუძლებელია, უკვე მიღებულ დეკლარაციის უარმყოფელია, რომ განთავისუფლებულ საფრანგეთშიაც იყოს ისეთი კლასი, რომელიც უნდა დაემორჩილოს მისგან არ შექმნილ კანონს; ხალხი მხოლოდ იმ კანონს უნდა ემორჩილებოდეს, რომელიც თვითონ გამოუცია.

უკმაყოფილება კიდევ უფრო გაიზარდა, როცა პირველად იხმარეს ახალი კანონი საქალაქო არჩევნების დროს. აქ კი თვალნათლივ, საქმით დაინახა ყველამ ამ უსამართლო დადგენილების მთელი სიგრძე-სიგანე და უკმაყოფილებაც უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ამ გაძლიერებულ უკმაყოფილების საუკეთესო გამომთქმელი მარატი—იყო. განთქმული დემაგოგი სწერდა თავის გაზეთში, რომელსაც „ხალხის მეგობარი“ ერქვა:

„ნამდვილია, რომ რევოლიუციის გამარჯვება წვრილ ხალხის საქმეა და არა ნაკლებ ნამდვილია ისიც, რომ ბასტილია აიღო უმთავრესად ათი ათასმა ღარიბმა მუშამ“... რიცხვი აქ გადაჭარბებულია, მაგრამ მარატი არ აჭარბებს, როცა ამტკიცებს, რომ გაჩნდა ახალი უპირატესობიანი კლასი და როცა ამ კლასს, ბურჟუაზიას, მრისხანე მუქარას უთვლის:

„რა მოვიგეთ, რომ ძირს დავცეით კეთილშობილთა (თავად-აზნაურობის) არისტოკრატია, თუ მის ადგილს დაიჭერდა მდიდრების არისტოკრატია. თუ ჩვენ იძულებული ვართ ახლად გაბატონებულების უღელ ქვეშ ვიკვნესოთ, ისევ ძველი წესი დაგვეტოვებია... სამშობლოს მამებო (ეროვნულ კრების წევრნო): ჯერ ბედი გწყალობთ: დღეს ჩვენ არ ვთხოულობთ გაგვინაწილოთ თქვენი ქონება, რომელიც კანონებმა საერთო საკუთრებად გააჩინა; დააფასეთ სიდიდე ჩვენის ზიანისა, თქვენის ინტერესებისათვის, დავიწყეთ რამდენიმე წუთით თქვენი წარჩინებულობა, თავი წაართვით ტკბილ ოცნებას, რომ დიდი ვინმე ბრძანდებით, და კარგათ მოისაზრეთ ის საშინელი შედეგი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს თქვენს წინდაუხედაობას. უარს გვეუბნებით მამულიშვილის უფლებაზე ჩვენის სიღარიბის გამო და მაშ ძრწოდეთ, რომ ზედმეტი ქონება არ წაგართვათ და ამგზით არ შევიძინოთ უფლებანი. გეშინოდესთ ჩვენის გულის დასერვისა უსამართლობით; გეშინოდესთ ჩვენის მიყვანისა სასოწარკვეთილებამდე; ძრწოდეთ, თუ მარტო შურის ძიების გზა დაგვრჩა და იძულებული გავხდით უკიდურესობა ჩავიდინოთ ან სრულიად მივანებოთ თავი. თქვენი ადგილი რომ დავიკავოთ, საკმარისია გულზე ხელი დავიკრიფოთ. მაშინ თქვენვე უნდა ემსახუროთ თქვენ თავს, საკუთარის ხელებით დაამუშავოთ მიწა და ამით ჩვენი სწორი გახდებით; მაგრამ რაკი უმცირესობას შეადგენთ, იმედი-კი გექნებათ, რომ შრომის ნაყოფი თქვენი იქნება? ჯერ კიდევ შეგიძლიათ თავიდან აიშოროთ ის რევოლიუცია, რომელიც აუცილებლად მოჰყვება ჩვენს სასოწარკვეთილებას. პირი იბრუნეთ სამართლისაკენ და აგვხადეთ სასჯელი, თქვენგან მოყენებული!“

მარატმა პირდაპირ და მკაფიოდ წამოაყენა როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური საგანი დემოკრატიისა და მისი გაზეთიც დღითი-დღე უფრო და უფრო ვრცელდებოდა. დემოკრატიული მოძრაობა ღონიერდებოდა; ახლად გაბატონებულ ბურჟუაზიას გაუჩნდა მებრძოლი მეტოქე; ფეხი მოიკიდა დემოკრატიულმა პარტიამ.

ამაზედ შემდეგ იყოს.

ვ. ლ—ძე.

ოლქის მზრუნველთან იყო და სთხოვა ავლაბრელთა სახელით, რომ კარაგეზოვის კერძო სასწავლებელი გადაკეთდეს საქალაქო სასწავლებლადაო. ეს ამბავი ჩვენ რედაქციაში შემოიტანა სწორედ იმ დეპუტაციამ, რომელიც მზრუნველთან იყო. ეხლა „ტფ. ლი." სწერს, რომ ავლაბრელებს არ უფიქრიათ ხსენებულ სასწავლებლის გადაკეთებაზე, არც დეპუტაცია გაუგზავნიათ მზრუნველთან და ყველაფერი თვითონ კარაგეზოვმა გააკეთაო. სწორედ გასაოცარია ბ-ნ კარაგეზოვის, მერე ისიც მასწავლებლის, ამნაირი საქციელი!

◆ იარმუკის გარშემო მყოფ 700-მდე ვაჭარმა უკმაყოფილება განუცხადეს სახლის პატრონებს და მოითხოვეს ქირის დაკლება.

◆ 13 მარტს ტფილისში მოხდება კრება მედროგეებისა და მეტაპკეების მამასახლისის ამოსარჩევად.

◆ 18 მარტისთვის დანიშნულია ყრილობა ტფილისის მეეტლეებისა თავიანთ საჭიროებაზე მოსალაპარაკებლად და, სხვათა შორის, მამასახლისისა და მისის თანაშემწის ამოსარჩევად.

◆ 10 მარტს, პოლიციის მე-7 ნაწილში ვიღაც ბოროტ-განზრახველმა გაურბინა მარტყოფის ქუჩაზედ მიმავალ ტფილისის მცხოვრებს გეურქ თარხანოვს და ბებუთით გვერდში მძიმედ დაჰკრა. უცნობი გადაიმალა. მიზეზი დაჭრისა ვერ გავიგეთ.

◆ პოლიციის მე-9 ნაწილში მცხოვრებ ანტონინა სვიტიჩს დაუქირავებია მოსამსახურე ქალი პელაგია აკიმოვისა. 10 მარტს ქალს უსარგებლნია სახლის პატრონის სხვაგან ყოფნით, მოუხვეკია 400 მან. საღირალ ვერცხლისა და ოქროს ნივთები და სადღაც გამქრალა.

◆ ტფილისის მაზრის სოფელ კოდას მცხოვრები ეკატირინე ავლარაშვილისა 10 მარტს ყოფილა თავის ნაცნობებთან გაბო და ევთიმე გაბოიანცთან გონჩ.რნ. ქუჩაზედ, სადაც იგი საღამოთი უეცრად გარდაცვლილა. გარდაცვალების მიზეზის გამოსარკვევად გვამი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

რუსეთის ქრონიკა

ბრძანება პეტერბურგის გვარდიებისადმი. „მიღებულ ცნობების მიხედვით, იყო ბევრი შემთხვევა, რომ იზმაილოვის, ეგერის და ჰუსარის პოლკების ახალ-გაზდა ჯარის კაცებს საკუთარი თითები წაუჭრიათ. გამოძიებამ უნდა გამოარკვიოს, უბედურ შემთხვევის გამო მოხდარა ეს ამბები, თუ განზრახ ჩაუდენიათ ესა..."

საერო კრება. როგორც გაზეთ „სლოვო"-ს შეუტყვია, ბულიგინის კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს ხალხის წარმომადგენლების მოწვევის წესი, 15 მარტს შეუდგება თავის საქმეს. ამბობენ, ნაადგომევს უკვე მოიწვევენ კიდეც საერო კრებასო.

ტფილისის ქალაქის საქმეები

10 მარტი

ამ საღამოს პეტერბურგში გასაგზავნ დეპუტაციის არჩევა იყო დანიშნული. საბჭოს დარბაზს იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ სულ გაივსო ქანდარა, საბჭოს დარბაზი, შესავალი კარები და ფოიე. როგორც იყო, თავმჯდომარემ მიაღწია თავის ადგილს, ხმოსნებმაც იშოვეს შუაში ცოტა ადგილი და შეუდგნენ საქმეს.

ქალაქის მოურავმა სთქვა: ამ 42 წლის წინად კავკასიის გლეხობა განთავისუფლდა მონობისაგან. შემდეგ დაარსდა სასამართლოს დაწესებულებანი და გამოიცა საქალაქო დებულება. ამ კანონდებულებებმა კავკასიის ცხოვრებაში შეიტანეს სიცოცხლე. ჩქარის ნაბიჯით წავიდა წინ მრეწველობა, ვაჭრობა, გაცოცხლდა ჩვენი ადგილობრივი ლიტერატურა, აივსო ჩვენი სასწავლებლები ახალგაზდობით, გამოიღვიძა საზოგადო ძალამ და შემოქმედებითის ცხოვრების გზას დაადგა და სხვ. ყველაფერი გამოცოცხლდა, მაგრამ როგორც ჩვენს ცხოვრებაში, ისე რუსეთშიაც დადგა სამწუხარო დრო, რომელსაც მომავალი ისტორიკოსი გაოცებით შეეხება. ყოველს სფერაში ცხოვრება მოდუნდა. შევიწროვებულია ყოველნაირად მშრომელი ხალხი, მრეწველნი, გლეხობა, მოსწავლენი და ეს გარემოება ყველგან არეულობებს იწვევს. აი, ამ დროს გამოცემულ იქმნა 18 თებერვლის რესკრიპტი, რომელიც სხვა იმედს და ნუგეშს იძლევაო. რადგან კავკასია მოკლებულია ისეთს დაწესებულებებს, როგორიც რუსეთშია, მოურავის სიტყვით, ადგილობრივ მცხოვრებთ, უმაღლეს მთავრობას ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენი კუთხის გაჭირვებებზე და მოითხოვონ სრული უფლებანი. კავკასიის წარმომადგენლებმა უნდა უჩვენონ მთავრობას, რომ თუ უწესოებანი მოხდა, იგი გამოიწვია კანონდებულების დაძველებამ და ხალხის უფლებების შევიწროვებამ. ხალხს დაეკარგა რწმენა კანონისა, პირად და ქონებრივ უზრუნველ-ყოფისა. არაოდესაც ამაზე მეტად საჭირო არ ყოფილა მფარველობა ჰუმანიურ დაწესებულებათა. ბოლოს მოურავმა წინადადება მისცა საბჭოს, აღძრას შუამდგომლობა, რომ კავკასიის წარმომადგენელნი ერთად დაინიშნენ ბულიგინის კომისიაში.

ხმ. ბაბოვი. მოურავმა არ აღნიშნა, რომ საჭიროა კომისიაში მონაწილეობის მისაღებად ეხლავე წარმომადგენლების არჩევა. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, კომისიის სხდომები 15 მარტიდან დაიწყება. დღესვე უნდა ავარჩიოთ წარმომადგენლები და დეპეშით მინისტრს ვთხოვოთ, რომ მიიღოს ისინიც კომისიაში. შემდეგ საჭიროა მოხსენების შემუშავება. ჩვენში დღემდე მეფობდა საგუბერნიო ადმინისტრაცია და პოლიცია. არც ერთი შუამდგომლობა ქუთაისის თუ ტფილისის თავად-აზნაურთა, ქალაქის თვით-მმართველობისა პატივდებაში არ ყოფილა მიღებული. არ აგვისრულეს შუამდგომლობა ისეთ პატარა საკითხის შესახებ, როგორიც სატეხნიკო სასწავლებლის დაარსებაა. მწერლობა შეხუთულია, მოკლებულნი ვართ თავისუფალ სიტყვის გამოთქმის უფლებას; ჩვენი სიტყვა, ჩვენი მუდარა, ჩვენი ცრემლები ვერ აღწევდა სადაც საჭირო იყო. ეხლა მთავრობა თვითონ გვიწვევს ჩვენი აზრი გამოვთქვათ. საუკეთესო დროა ვთხოვოთ მთავრობას, ნება მოგვცეს გავმართოთ კავკასიის ყველა ადგილისა და მცხოვრების წარმომადგენელთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს დღევანდელი მდგომარეობა და შეიმუშაოს მოხსენება საჭიროებათა შესახებ.

ხმ. ამირხანოვი. სურეთის დღევანდელი ცხოვრება მეტად შერყეულია: არ არის წესიერება, არ არის მშვიდობა. ეხლა ხელს გვიწოდებენ, გვიწვევენ მშვიდობიან ცხოვრების დასამყარებლად. წესიერების და კანონიერების შექმნა ეხლა მხოლოდ ხალხის თავისუფლად არჩეულ წარმომადგენლებს შეუძლიანთ. ჩვენი კონსერვატორები იძახიან: რას წარმოადგენს ჩვენთვის განათლებული ევროპა და მისი ცხოვრების წეს-წყობილება, არ გვინდა ჩვენ იგი, ჩვენ თითონ შეგვიძლიან მივცეთ ევროპას გაკვეთილიო? მაგრამ არამც თუ დასავლეთს ვერ მივეცით გაკვეთილი, აღმოსავლეთმაც წინ გაგვისწრო და ეხლა ამომავალ მზის ქვეყანა კარგს გაკვეთილებს გვაძლევს. მთავრობამ უნდა მოიწვიოს ახალ წეს-წყობილების დამფუძნებელი კრება, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს საკითხები როგორც ომიანობისა, ისე მშვიდობიანობის შესახებ..

ხმ. ევანგულოვი. ვეთანხმები ხმოსან ბაბოვის აზრს. უნდა მოვიწვიოთ კავკასიის ხალხების წარმომადგენელნი, რომ საერთო კრებამ მოკლე და ცხად მოხსენებაში გამოხატოს მოთხოვნილებანი. უნდა მოვითხოვოთ: თავისუფლება სიტყვისა, მწერლობისა, კრებისა, არჩევანი უნდა ხდებოდეს თავისუფალი, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით. ამ პირობებით უნდა მესდგეს რუსეთის პარლამენტი, რომელიც იზრუნებს ხალხის კეთილ დღეობაზე. ვიდრე ხალხს ესენი არ მიეცემა, ხალხის მოძრაობას ვერაფერი შეაჩერებს. ჩვენზე ძლიერად ცხოვრების ფაქტები ლაპარაკობენ. თუ მალე მთავრობამ არ განახორციელა მოთხოვნილებანი, ხალხის მოძრაობას ვეღარაფერი ვერ შეაჩერებს. სულ ტყუილია რეაქციონურ ღონისძიებათა ხმარება, ხალხს აღარც ზარბაზნისა ეშინიან, არც საპატიმრო-ციხეებისა, არც მუქარისა. იმერეთი ფეხზე სდგას, ქართლ-კახეთმა გამოიღვიძა და მრისხანედ ყუჟმანებს, ქალაქები ამოძრავდნენ, რუსეთის სოფლებში ხალხი ძლიერს პროტესტს აცხადებს ეხლანდელ წეს-წყობილების წინააღმდეგ. ხალხის ერთად-ერთი დამშვიდებელი ახალ წეს-წყობილების დამფუძნებელი კრებაა, სადაც კავკასიასაც უნდა ჰყავდეს წარმომადგენლები.

ხმ. თავ. მაქლდაძე. ვაი თუ კავკასიას გვერდი აუხვიონ და ნება არ მისცენ თავის წარმომადგენლები იყოლიოს ბულიგინის კომისიაში. უსათუოდ საჭიროა დეპუტატების გაგზავნის შესახებ შუამდგომლობის აღძვრა. აქ გამოითქვა და მეც ვეთანხმები, რომ დღევანდელს პროტესტის უკან მზადდება უძლეველი ძალა თავისუფლების მოსაპოებლად. ხალხი ღელავს, მუშები გაფიცვას ახდენენ, ვაჭრობა-მრეწველობა შეფერხდა. ამ დროს მთავრობა როგორს ზომებს ხმარობს? გენერალი ალიხანოვ-ავარელი ჩემის სამშობლოს კარების წინ დგას დიდის ჯართა და ზარბაზნებით. რა მოხდა, რაშია საქმე? არაფერი გარდა იმისა, რომ ხალხმა შემხუთველ გარემოებიდან გამოსვლა მოინდომა და არავინ არ ისმინა მისი კანონიერი მოთხოვნილებანი. ტფილისის საბჭოსა, ქალაქ ტფილისის მცხოვრებთა, ჩემის სამშობლო ქვეყნისა და რუსეთის მცხოვრებთა წინაშე პროტესტს ვაცხადებ ასეთის საქციელისა გამო. 18 თებერვალს გამოცემული რესკრიპტი უფლებას გვაძლევს ხმა ამოვიღოთ. უნდა უსათუოდ გაიგზავნოს დეპუტაცია. დეპუტატების გაგზავნა შეუძლიან ქალაქის თვით-მართველობათ, თავად აზნაურობათ, სამეურნეო საზოგადოებას და სხვათ.

თავ. ბარათაშვილი. რუსეთის ხულიგანები იძახიან, აჯანყება, შფოთია, „კრამოლნიკებმა" თავი იჩინეს და ხალხის კეთილმდგომარეობას ძირს უთხრიანო. სრული სიცრუეა. აჯანყება კი არა, ეს ძლიერი მოძრაობა და ღელვაა, ძლიერი პროტესტია ეხლანდელ დახავსებულ ცხოვრების წინააღმდეგ. ხალხის მოძრაობა შეიძლება რევოლიციონურ ტალღად გადიქცეს და მოსპოს, გადარეცხოს ქვეყნის პირიდან ყველა ის მიზეზები, რომელიც აქამდე ცხოვრებას გვიდუნებდა და ხალხს მონობისა და სიბნელის ბურუსში ახვევდა. ასი წელიწადია ჩვენი ქვეყანა თავის ნებით შეუერთდა რუსეთს, მხოლოდ იმ განზრახვით, რომ გარეშე მტრისაგან დაფარულს ძალა მოეკრიბა და მშვიდობიან კულტურის გზას დასდგომოდა. მერე ნაცვლად რას ვხედავთ: ენას გვართმევენ, ხალხოსნურს ელფერს გვიშლიან, თავისუფლებას გვაკლებენ. ეყო ხალხს მოთმენა. მოთმინების ფიალა აივსო და ხალხის ძლიერებას ვერაფერი ვერ შეაჩერებს. ვის შეუძლიან განგვკურნოს, თუ არა იმ დაწესებულებას, რომლის წევრებად ხალხის მიერ თავისუფლად ამორჩეული წარმომადგენლები უნდა იყვნენ.

ილაპარაკეს სხვებმაც. ბოლოს საბჭომ ერთხმად დაადგინა: 1. აღიძრას შუამდგომლობა ნება მიეცეს კავკასიას თავის წარმომადგენელნი იყოლიოს ბულიგინის კომისიაში და შემდეგ ახალ წეს-წყობილების დამფუძნებელ კრებაში; 2. შუამდგომლობა საბჭომ დეპეშით აცნობოს შინაგან საქმეთა მინისტრს და უმაღლეს მთავრობას; 3. შეუდგნენ მოხსენების შემუშავებას კავკასიის ხალხთა საჭიროებების გამოსარკვევად; 4. ჩვენის ქვეყნის საჭიროებათა შესახებ მოხსენება გაიგზავნოს განსაკუთრებულ დეპუტაციის ხელით; 5. ამორჩეულ იქმნას კომისია; ეს კომისია შეიმუშავებს მოხსენებას იმ საკითხების შესახებ, რომელიც შეეხება სახელმწიფოს კეთილგანწყობილებასა და ხალხთა კეთილ მდგომარეობის გაუმჯობესებას. დასასრულ არჩეულ იქნენ დეპუტატები. დეპუტატებს ევალებათ წავიდნენ პეტერბურგში და ყოველივე საშუალება იხმარონ, რომ კავკასიას გვერდი არ აუხვიონ და მისცენ შეძლება წარმომადგენლები იყოლიოს კომისიაში. არჩეულ იქნენ ხმოსნები ოსტროგორსკი, თავ. ვ. ს. მიქელაძე, თავ. ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი და ინჟენერი ახუნდოვი.

ამავე სხდომაზედ საბჭომ ფეხზედ ადგომით პატივი სცა განსვენებულ ხმოსნის ი. გ. თუმაშვილის ხსოვნას და დაადგინა სამძიმარი გამოუცხადოს განსვენებულის სახლობას.

ჰენრიკ სენკევიჩის წერილი*)

(„რუს", № 56)

ეხლახან კრება შემდგარა ვარშავაში სასკოლო საქმის გამო და ამ კრებაზე ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს შემდეგი აზრი გამოუთქვამს:

„მესმის, რომ ხალხი ისეთის წარსულით და მდიდარის ლიტერატურით, როგორიც პოლონელებს აქვს, თხოულობს ეროვნულ სკოლას. მაგრამ ვშიშობ, რომ ასეთი სკოლა შეჰქმნის რუსეთის სახელმწიფოში შინაურ მტერს და დაახლოების მაგიერ უფრო ჩაღრმავებს უფსკრულს ორ ხალხს შუა".

საზღვარ-გარედ ვიყავ და იქ წავიკითხე ანგარიში ამ კრებისა და ამიტომ დანამდვილებით არ ვიცი ეგრე იყო ნათქვამი თუ არა, მაგრამ ვფიქრობ, რომ საზოგადო აზრი სწორედ ამგვარი იყო. თუ მზრუნველს ესმის, რომ მდიდარ ლიტერატურისა და წარსულის პატრონი ხალხი თხოულობს ეროვნულ სკოლას, ამითი ის ამბობს, რომ ასეთი სკოლა უნდა ჰქონდეს კიდეც პოლონეთს, და თუ აქამდე არ მიუციათ, მხოლოდ იმ შიშით, რომ ასეთ სკოლას შინაური მტრები არ შეექმნა...

აბა ჰკითხეთ იმათ, ვისაც ეს შიში აქვს, შეჰქმნა თუ არა არსებულმა რუსულმა და გამარუსებელმა სკოლამ სახელმწიფოსა და რუსულ საზოგადოების მეგობრები?

ამის პასუხს ფაქტები იძლევა და ვფიქრობ, რომ ვერც ერთი რუსი ვერ უარჰყოფს ამ ფაქტებს, თუ ჭკუას ძალას არ დაატანს ან მსხვერპლად არ შესწირავს ორივე ხალხის ინტერესს საკუთარ სარგებლობისათვის.

სახელმძღვანელოდ არ მიიღეს ალექსანდრე მეორეს შეხედულება, რომელიც პირდაპირ უარ-ჰყოფდა იმ ტენდენციას, რომ სკოლა პოლიტიკურ იარაღად გადაექციათ; მილიუტინაც ნამდვილ რწმენის მთელის ძლიერებით წინააღმდეგი იყო ამგვარ ტენდენციისა და მისი რჩევაც უნაყოფო შეიქმნას.

დადგა ეგრედ წოდებულ აპუხტინის ეპოქა; დადგა დრო პოლიტიკისა ყველა სასწავლებელში დაბალ სკოლიდან უნივერსიტეტამდე. პოლონური ენა გახადეს არა-სავალდებულო საგნად და, როგორც სხვა საგნებს, ამასაც რუსულად ასწავლიდნენ; შემოიღეს ყოვლად უაზრო სახელმძღვანელოები; დაუწყეს დასჯა მოსწავლეებს პოლონურად ლაპარაკისათვის, როგორც რაღაც დიდ დანაშაულისათვის; პოლონელ ერის წარსულს, მის მოქმედებას, ისტორიას ამცირებდნენ; ფეხით სთელავდნენ ყველაფერს, რაც კი ძვირფასი იყო პოლონელ ბავშვისათვის, სულ უმცირესს პროტესტისათვის კი ასეთ ყოველ-დღიურ უმზგავსობის წინააღმდეგ ბავშვებს სკოლიდან რიცხავდნენ.

და რა გამოვიდა?

გამოვიდა ის, რომ სკოლა გადაიქცა რაღაც საწამებელ ადგილად, საზოგადო მწუხარებად და მოსწავლეთათვის ნამდვილ ტრაგედიად. ბავშვობისა და სიჭაბუკის დრო პოლონეთში გადაიქცა წამებისა და ტანჯვის დროდ.

მშობლები მაინც გზავნიდნენ შვილებს სკოლაში—...მოწმობა, ატესტატი იყო საჭირო. მაგრამ რა ხდებოდა მშობლებისა და ბავშვების გულში? პოლონელი ბავშვი იძულებული იყო მოესმინა და თვითონაც გაემეორებინა ის, რაც მისთვის ღვთის გმობა იყო. რამდენი მძულვარება და ზიზღი უნდა შეკრებილიყო ბავშვში?..

ორი ერთი მეორის წინააღმდეგი ბანაკი გაჩნდა: ერთის მხრივ უცხო და ხალხისადმი მტრულად განწყობილი სკოლა, მეორე მხრივ—ბავშვები, მშობლები, მწუხარებისა და შეურაცხყოფის გრძნობა, რომელშიაც მთელი ხალხი იღებდა მონაწილეობას...

იქნება ვინმემ იფიქროს, რომ ასეთი შედეგი იმიტომ მოჰყვა რუსულ სკოლას, რომ იგი ცუდი იყო, და თუ კარგი რუსული სკოლა იქნება, შედეგიც სხვა იქნება.

თუ ბევრი რუსი, შეიძლება უმრავლესობაც, დღეს უკვე დარწმუნებულია, რომ პოლონელ ხალხს თავის ისტორიულ წარსულით, თავისებურის კულტურით და მდიდარის ლიტერატურით, უფლება აქვს მოითხოვოს თავის საკუთარი ეროვნული სკოლა, ჩვენი საზოგადოება ხომ კიდევ უფრო დარწმუნებულია ამაში... პედაგოგებიც რომ სამაგალითონი იყვნენ, პოლონელი ბავშვი გულში მაინც დარწმუნებული იქნება, რომ რაკი სკოლა რუსულია, ამით შეურაცხყოფილია მისი ენა, სამშობლო, ე. ი. ყველაფერი, რაც მისთვის უძვირფასესია... სკოლა მაინც ორ ბანაკად იქნება გაყოფილი...

აუცილებელია რეფორმა, რეფორმა ძირითადი... სკოლამ უნდა აღზარდოს განათლებული, საღი და ზნეობრივი თაობანი, ეს კი პოლონეთში მხოლოდ პოლონურ სკოლას შეუძლია. შესაძლებელია, რომ ასეთ სკოლაში აღზრდილმა სრულის სისწორით ვერ ილაპარაკოს რუსულად, მაგრამ უკეთესია გულწრფელი გონიერი მამულის შვილები აღვზარდოთ თუნდაც ასეთის ნაკლითაც, ვიდრე რუსულად კარგად მოლაპარაკე, მაგრამ მწუხარებით გატეხილი და მძულვარების საწამლავით მოშხამული ახალგაზდანი.

გამოვთქვი ჩემი აზრი როგორც პოლონელმა მწერალმა, რომელსაც სულით და გულით ეინტერესება სამშობლოსა და ახალთაობის მომავალი, მაგრამ წმინდის სინდისით შემიძლია ვსთქვა, რომ ფრანგი, ინგლისელი ან გერმანელი მწერალიც ვიყო, გონებისა და ზნეობრივობის მიხედვით ამასვე ვიტყოდი, თუ კი ასე კარგად მეცოდინებოდა ადგილობრივი გარემოებანი".

---

*) მოგვყავს შემოკლებით.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშთა სააგენტოსაგან".

10 მარტი.

ლონდონი. „ტაიმს"-ში დაბეჭდილი იყო სტატია, რომლითაც ავტორს ეჭვი შეჰქონდა რუსეთის ფინანსიურ მდგომარეობაზე. რომ დაერღვია გაზეთის ეჭვი, ფინანსთა მინისტრმა კოკოვცევმა მოჰპატიჟა ლონდონიდან თვითონ რედაქტორი „ტაიმს"-ისა, რათა პირადათ დარწმუნებულიყო იგი, რომ რუსეთს ბევრი აქვს დაზოგვილი ოქრო. მაგრამ რედაქტორმა უარი განაცხადა და შემოუთვალა კოკოვცევს, რომ რედაქტორის საქმე არა გაჩხრეკის ჩადენაო. კოკოვცევის დეპეშამ კარგი შთაბეჭდილება იქონია ინგლისის ფინანსიურ წრეებზე. რუსის კორესპონდენტების სიტყვით ამისთანა ხმებს იმიტომ ავრცელებენ ინგლისში, რომ სცდილობენ გავლენა იქონიონ და დაიჩქარონ ზავის ჩამოგდება. სამაგიეროთ დანარჩენ გაზეთების ზოგმა რედაქტორმა სთხოვა კოკოვცევს, ნება დაგვრთეთ დავათვალიეროთ დაზოგვილი ოქრო თქვენს სახელმწიფო ბანკშიო. კოკოვცევმა ნება დართო.

პორტ საიდი, 11 მარტი. (რეიტერი) ნებოგატოვის ესკადრა პორტ-საიდიდან გამოჩნდა.

მოსკოვი. პეტერბურგში მიდის მუშების დეპუტაცია და თან მიაქვს ფინანსთა მინისტრთან შემდეგი შინაარსის პეტიცია: გადახედულ იქნას საფაბრიკო კანონმდებლობა, მინიჭებულ იქნას მუშებს ორგანიზაციებისა, კავშირისა და გაფიცვის თავისუფლება. აგრეთვე შემოღებულ და დაკანონებულ იქნას მუშათა დაზღვევა სახელმწიფო ხარჯზე და შემცირებულ იქნას სამუშაო დრო.

ბაქო. გუბერნიის სასანიტარო-აღმასრულებელმა კომისიამ დაადგინა, მოახდინოს აპრილის დამდეგს სიეზდი ბაქოს გუბერნიის ექიმებისა და მოღვაწეებისა და შეიმუშაოს ხოლერასთან საბრძოლველი ზომები.

პეტერბურგი. 11 მარტი. ხელმწიფე-იმპერატორმა მოხსენება მიიღო ფინლიანდიის სტატს-სეკრეტრიდან ვიბორგის გუბერნატორ მიასოედოვის მდგომარეობაზე; ამ მოხსენებაზე მან წააწერა: „**ვუსურვებ გუბერნატორს ჩქარა გამომრთელებას**".

ვარშავა. მოვიდა ახალი გენ.-გუბერნატორი მაქსიმოვიჩი და ინახულა ვარშავის წარჩინებულნი.

კიევი. გარდაიცვალა პროფესორი—დოსტაქარი ბორნჰაუპტი.

„რუსეთის დეპეშთა სააგენტოსაგან"

10 მარტი.

ლონდონი, (საკუთ. კორესპ.). მომავალ კვირაში ნიუკესტლში კიდევ იაპონიის ერთ ახალ დიდ გემს ჩაუშვებენ წყალში; ეს გემი იმ ჯავშნოსნის ტიპისა იქნება, როგორიც იყო ჯავშნოსანი „კიშიმა".

ლონდონი. „ცენტრალ ნიუს"-ში დაბეჭდილია, რომ ჩინეთის იმპერატორმა იმიტომ მოუწოდა სახელმწიფოებს ომის საქმეებში ჩაერიეთო, რომ თვისი სახელმწიფოს ინტერესები უნდოდა ამით დაეცვა. ომმა ყველაზე მეტი ზიანი ჩინეთს და მისს ტერიტორიას მოუტანა, მთლად გაანადგურა ამ სახელმწიფოს ერთი პროვინცია და ათასობით და ათი ათასობით დააწიოკა ჩინელები.

ტოკიო, 10 მარტი. რუსებმა უკან დაიხიეს ჩანჩუნისკენ მიმავალი გზით. ამ ჟამად რუსები 25 მილის მანძილზე იმყოფებიან მანჩუანგაის ჩრდილოეთით. ტუმენის სამხრეთით და ჩრდილოეთ კორეაში ერთი რუსი არაა. ჰფიქრობენ, რომ იაპონელებმა 50000-ზე მეტი კაცი დაჰკარგესო.

ლონდონი. ახლო მომავალი იაპონიის სესხი, 30 მილ. გირვანქა სტერლინგი, განაღდდება ლონდონისა და ნიუ-იორკის ბირჟებზე.—პარიზში მოსულ კერძო ცნობებით იაპონიის კონტრ-ნაღმოსანმა, რომელიც იაპონიის ესკადრის უკანა რაზმს შეადგენს, კოლომბოსთან გაიარა და დასავლეთით გაემართა.

პეტერბურგი. ვარშავის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელ კოვალევსკის უმაღლესად ებძანა იყოს საპოლიციო დეპარტამენტის დირექტორად.

მოსკოვი. ჟურნალისტებისთვის გამართულ კურსებზე ასზე მეტი მსმენელი ჩაეწერა.

ტანჟერი. ხმებია, რომ საფრანგეთის ესკადრამ ბრძანება მიიღო მოვიდეს აქ 18 მარტს და შეუერთდეს ორ კრეისერს, რომელნიც ნავთსადგურში დგანან.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ბ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 4 მარტს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,05
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,70
ბანკის დისკონტი	$5\frac{1}{4}$—$6\frac{3}{4}$%
4% სახელმწიფო რენტა	$89\frac{3}{8}$
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	391
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	$312\frac{1}{2}$
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	271
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$5\frac{1}{2}$% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	$89\frac{1}{8}$
$4\frac{1}{2}$% გირაო. ფურც. ამავე ბანკისა	—
5% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.;) 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს., 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუალამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

◆ კბილები ◆

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—12).

ტფილისის ქალაქის
ს ა ბ ჭ ო
აცხადებს, რომ ამა წლის 16 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომლის დროსაც იჯარით გაიცემა სამუშაო მცურავ საბანაოების გასამართავად. ეს საბანაოები გაიმართება მტკვარზე და შესდგება ხის პავილიონისაგან რკინის პონტონებზე. შეიძლება განცხადებანი დაბეჭდილ კონვერტებით წარდგენილ იქნას ცალკე რკინეულ და ცალკე ხის სამუშაოებზე ან ორივე ერთად. პონტონი ნაპირზე მიმაგრებული, წყალზე უნდა იდგეს;

პირობებისა და სხვა ქაღალდების გაცნობა შეიძლება გამგეობის საშენებლო განყოფილებაში 12 დან 3 საათამდე. (3—6.—2)

კავკასიის სააბრეშუმო სადგურის საწყობში
(ტფილისი, მუშტაიდი) იყიდება
ცელულიარული გრენა
(აბრეშუმის თესლი)
თეთრი და ყვითელი ჯიშისა—მისხალი 40 კაპ.; ჭიის გამოკვების, თესლის დამზადების, აბრეშუმის ძაფის ამოხვევის და საფეიქროსათვის საჭირო მანქანები და იარაღი, მეაბრეშუმეობის სახელმძღვანელოები და კოლექციები.

ფუტკრის გაშენებისათვის საჭირო იარაღი და მანქანები: სკები, ხელოვნური ფიჭა, თაფლის საქაჩავი, სხვა-და-სხვა სისტემის სკების გეგმები, სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო საგნები.

◆ პრეისკურანტი უფასოდ (15—6.—2)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კ ი ო ს კ შ ი
ლორის-მელივის ქუჩა, იქალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—ზოემა ბაჩანაძი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელო, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.